პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წელიწადი [illegible]

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტეინის ქ. № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.
ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

ფასი 10,000 მან.

№ 81 ხუთშაბათი, 13 აპრილი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ხუთშაბათი, 13 აპრილი 1922 წ. № 81

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროპაგანდისტთა სკოლის შესახებ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან იხსნება ორთვიანი პროპაგანდისტების სკოლა (ლექციების სემინარიები) რუსულ ენაზე. **მიღების პირობები:**

მსმენელებათ მიიღებიან პარტიის წევრები 18-დან 35 წლამდის, რომელთაც აქვთ მცირეოდენი სააგიტაციო პროპაგანდისტული გამოცდილება და მომზადება შემდეგი წიგნების მიხედვით: 1. კომუნიზმის ანბანი, **ბუხარინისა**, 2. პირველ-დაწყებითი კურსი პოლიტიკურ ეკონომიისა (კითხვა-პასუხში) **ბოგდანოვისა**, 3. ერფურტის პროგრამა **კაუცკისა**.

მისაღები გამოცდები დაიწყება 25 აპრილს მეცადინეობა დაიწყება 2 მაისს.

ყველა კურსანტები იქნებიან სკოლის სრულ ხარჯზე

იმ ამხანაგებს, რომელთაც სურთ სკოლაში შემოსვლა უნდა წარმოადგინონ რეკომენდაცია ქალაქისა და სამაზრო პარტ-კომიტეტების და ჩაეწერნონ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის საპროპაგანდო ქვე-განყოფილებაში 25 აპრილამდის.

საქ. კომ. პარტ. ცენტ კომ. სააგიტ.-პროპ. განყოფილების გამგე.

რ. კ. პ. ყრილობა და პროფესიონალური პოლიტიკა

როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ახალი პოლიტიკა პროფესიონალურ მოძრაობაში, რომელიც მიიღო რ. კ. პ. ცენტრალურმა კომიტეტმა, სრულიად დაადასტურა პარტიის მეთერთმეტე ყრილობამ. ეს კიდევ ცოტაა. ამ პოლიტიკამ მიიღო ყრილობაზე ის საჭირო იმპულსი, რომელიც ბევრათ შეუწყობს ხელს ახალი პროფესიონალური პოლიტიკის პრაქტიკულათ ცხოვრებაში გატარებას. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ რ. კ. პ. მეთერთმეტე ყრილობამ შეიტანა საჭირო გარკვეულობა და სინათლე იმ ცვლილების დასასაბუთებლათ, რომელიც ტარდება დღეს პროფესიონალურ სფეროში.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა არის იმის მაჩვენებელი, რომ არ არსებობს „სამუდამო“ პრინციპები, რომელზედაც ეყრდნობა პროფესიონალური მოძრაობა. ის არის ბუნებრივი და აუცილებელი შედეგი ეკონომიურ აღმშენებლობაში წარმოებული ახალი პოლიტიკის; ის ეყრდნობა ახალი ეკონომიური პირობების სრულ გათვალისწინებას და იმდენათ არის მასთან შეფარდებული, რამდენადაც ჩვენი წინანდელი პოლიტიკა პროფ. მოძრაობის სფეროში შეხამებული იყო რევოლიუციის მაშინდელი პერიოდის ეკონომიურ პოლიტიკასთან. აესთია ის პირველი და უმთავრესი მომენტი, რომლის ხაზის გასმა აუცილებლათ საჭიროთ დაინახა პარტიის მეთერთმეტე ყრილობამ, რომ ერთხელ და საბოლოოთ გაფანტული ყოფილიყო ყოველგვარი გაუგებრობა ახალ პროფესიონალური პოლიტიკაში.

მეორე მომენტათ, რომელზედაც საკმაო ყურადღება შეაჩერა ყრილობამ, უნდა ჩავთვალოთ საჭირბოროტო კითხვა პროფესიონალური აპარატის გაძლიერების და განმტკიცების შესახებ მუშაობაში გამოწრთობილი პარტიული ძალებით. ეს კითხვა საკმაოთ მომწიფებულია და საჭიროა მისი სასწრაფო წესით გადაჭრა.

როგორც სწორად აღნიშნა ყრილობაზე ერთმა მომხსენებელთაგანმა პროფესიონალურ საკითხის შესახებ, ახალ პროფესიონალურ პოლიტიკაში იმალება საკმაო გარემოებანი, რომლებსაც შეუძლია დასაწყისი მისცეს შემცდარ გადახრას. პროფესიონალურ მუშაობის სიმძიმის ცენტრის გადატანამ მრეწველობის მმართველობაში უშუალო მონაწილეობიდან პროლეტარიატის ინტერესების დაცვის საქმეზე, პროლეტარიატის, რომელიც დაბანდებულია საიჯარო და საშეურნეო ანგარიშზე გადასულ სახელმწიფოებრივ მრეწველობაშიაც, მუშაობის სიმძიმის ცენტრის გადატანამ ამ დარგში, უკვე გამოიწვია და შეუძლია კიდევ აუცილებლად გამოიწვიოს, ჩვენი სახელმწიფოებრივი რესურსების სიმცირის გამო, პროფესიონალურ მუშაობის ერთგვარი ცალმხრივი გადახრა, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს ჩვენი მრეწველობის ნორმალურ განვითარებას.

აქედან გამომდინარეობს აშკარა აუცილებლობა ხელმძღვანელ პროფესიონალურ ორგანოების გაძლიერებისა, როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივად, საკმაოდ მტკიცე და გამობრძმედილი კომუნისტური ძალებით. და ეს ამოცანა ამ ჟამად სავსებით დაკისრებული აქვს პარტიას, რომელიც ხელმძღვანელობს ქვეყნის რევოლიუციონურ აღმშენებლობას. პარტიის მე 11 ყრილობამ უკვე სთქვა თავისი ავტორიტეტული სიტყვა, რომელსაც რ. კ. პ. ახალი ცენტრალური კომიტეტი, ვიმედოვნებთ, სწრაფად გაატარებს ცხოვრებაში.

უბრალო აღნუსხვა იმ მდგომარეობისა, რომელშიაც იმყოფება ჩვენი პროფესიონალური აპარატი, გათვალისწინება იმ ძალების თვისებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით, რომელნიც ამ აპარატს გააჩნია,—მოწმობს იმაზე, რომ ეს ამოცანა არ შეეჩეხება დიდ სიძნელეს თავის განხორციელების დროს.

ჩვენ კიდევ არა ერთხელ მოგვიხდება შევჩერდეთ მე-11 ყრილობის მუშაობის შედეგებზე.

ამ ჟამად ჩვენ საჭიროდ დავინახეთ შევჩერებულიყავით იმ ორ მომენტზე, რომელნიც, პირველ რიგში, გახდნენ ყრილობის ყურადღების საგნად. ყრილობის ეს ნაბიჯები, პროფესიონალურ მოძრაობის განმტკიცებისათვის გადადგმული, ეჭვი არ არის საგრძნობლად წასწევენ წინ პროფესიონალურ ორგანოების პრაქტიკულ მუშაობას.

მიწის რეფორმის გარშემო

II *).

პირველ წერილში ვამბობდი, რომ მიწის ნორმა მუშა გლეხისთვის, რომელიც მარტო სასოფლო მეურნეობით სცხოვრობს, უნდა იქნეს ყოველთვის მეტი ვინემ სხვა კატეგორიებისთვის. ეს ასეც უნდა იქნეს, ამას მოითხოვს როგორც სამართალი, აგრეთვე გლეხის და სოფლის მეურნეობის ინტერესები. აქ განსხვავება მხოლოდ ნორმაშია, რაც შეეხება მიწით სარგებლობის უფლებას, ეს კი, თანახმად დეკრეტის № 17 მეათე მუხლისა, მინიჭებული აქვს ერთნაირად სუყველას, **„ვინც კი მოინდომებს მიწის დამუშავებას საკუთარის ხელით“**. მართალია, რამდენი მსურველი მეტი იქნება, იმდენი ნორმა ნაკლებია, მსურველი კი დღეს შექმნილი პირობების გამო ძალიან ბევრია, მაგრამ სოციალიზმის პრინციპიც ის არის, რომ სუყველა ავამუშავოთ, ყველა შრომას შევაჩვიოთ. ამიტომ, დღეს—მიიღონ მიწა იმ ჩვენმა ვაჭრებმა და მოხელეებმა, რომლებიც მიწას მთლად არ მოწყვეტიან და ჯერ კიდევ ნახევრად გლეხები არიან; დაიტოვონ მიწა იმ მემამულე თავად-აზნაურებმაც, ვისაც შერჩენია შრომის უნარი და მიწის მუშაობით სურს გამოისყიდოს მამა-პაპური ცოდვები.

მხოლოდ მაშინ იბადება ერთი საკითხი: ეს განსაზღვრული მიწის რაოდენობა დააკმაყოფილებს ჩვენში სუყველა მსურველს თუ არა?

საქმე იმაშია რომ არ არის, რომ მიწის მუშამ მიიღოს ვსთქვათ 100 კვ. საჟენი მიწა, საჭიროა ვიცოდეთ აკმაყოფილებს ეს 100 კ. ს. ოჯახის მოთხოვნილებას თუ არა.

ხონში, მაგალითად, ყველა მიწები, რომ მარტო მუშა გლეხებს დაურიგდეს, სულზედ უდრის ერთი ქცევა, და თუ დაკმაყოფილებული იქნა სხვა კატეგორიებიც, მაშინ გამოდის მუშა გლეხზედ ნახევარი ქცევაზედ ცოტა მეტი და სხვა კატეგორიებზედ ცოტა ნაკლები—საშუალოდ კი ნახევარი ქცევა სულზედ მთელი საქართველოს მასშტაბშიც სახნავ-სათესი პირველ ხარისხოვანი მიწის ნორმა მეტი არ იქნება. აი საკითხი ამაშია:

კმარა ჩვენში სულზედ ნახევარი ქცევა საცხოვრებლად თუ არა? დიდ სითამამედ ნუ ჩამომერთმევა თუ მე ამაზედ კატეგორიულად ვუპასუხებ—კმარა. მხოლოდ ამისთვის აუცილებელი საჭიროა, რომ აგრარულ რეფორმას პარალელურად თან მოზდევდეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, რეფორმა აგრონომიული.

ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე დღეს ყველასაგან ცნობილია ისე კარგად, როგორაც აშკარაა სუყველასათვის ჩვენი სილატაკე, და ეს სიმდიდრე შეგნებულად წარმოდგენილი აქვთ უფრო უცხოელებს, ჩვენ კი თუთუყუშივით ვიმეორებთ სხვის სიტყვებს და იმ უბრალო წინააღმდეგობასაც ვერ ვამჩნევთ, რომ სიმდიდრეში ჩაფლულნი ვიხჩვებით სიღარიბეში. სიმდიდრეს კი არა ჩვენი ქვეყანა პირდაპირ საოცრებას წარმოადგენს სასოფლო მეურნეობის მხრით. იშვიათია დედა მიწის ზურგზედ ასეთი ბედნიერი ქვეყანა, რომელიც შედარებით ასეთ პატარა მანძილზედ ამნაირი, თითქმის მუზეუმიური, სხვა და სხვაობას წარმოადგენდეს ჰავის, ნიადაგის და ფლორის მხრით, და სადაც ამდენი წარმოსადგენადაც ძნელი შესაძლებლობებს ქონდეს ალაგი სასოფლო მეურნეობის თვალსაზრისით. ალპიური მცენარეებიდან დაწყებული სუბტროპიკული მცენარეებამდე სასოფლო მეურნეობის თითქმის ყველა კულტურა შესაძლებელია საქართველოს რომელიმე კუთხეში განვითარდეს ფართო მასშტაბით სრული თავისი სამრეწველო მნიშვნელობით. აი ეს გარემოება ჩვენ გვკარნახებს, რომ უპირველეს ყოვლისა უნდა იქნეს შემუშავებული საერთო მეცნიერული გეგმა სრულიად საქართველოს სასოფლო მეურნეობის. ჩვენ უნდა ვიცოდეთ სად რომელი კულტურა უფრო სასარგებლოა ჰავის და ნიადაგის თვისების მიხედვით. კართოფილი და სიმინდი არ უნდა ითესებოდეს იქ, სადაც ჩაი და ფორთოხალი მეტ სარგებლობას იძლევა, ჭარხალისთვის არ უნდა ცდებოდეს მიწა იქ, სადაც სიმინდი უფრო სახეიროა და პირიქით პური არ უნდა ითესებოდეს იქ, სადაც საშაქრე ჭარხალის, ბრინჯის და ბამბის კულტურა შესაძლებელია და დიდ სარგებლობას იძლევა. ერთი სიტყვით ჩვენ სასოფლო მეურნეობაში არ უნდა ქონდეს ალაგი მსგავს ანარქიას. მენშევიკების დროს სწორედ ეს ანარქია სუფევდა და არამც თუ საერთო მეცნიერული გეგმისთვის არავის შეუტკენია თავი, არამედ სახელმწიფო მამულებიც მოკლებული იყვნენ ამ საერთო გეგმას და ყოველივე მამული კერძო დამოუკიდებელი გეგმით, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, სრულებით უგეგმოთ მოქმედებდა; ამიტომაც ეხლაც ეს მამულები შინა მრეწველობას უფრო წარმოადგენენ, ვიდრე მსხვილი წარმოების მეურნეობას, მაშინ, როდესაც მარტო საერთო გეგმის გატარება ცხოვრებაში უკვე ასწევდა მიწის ნაყოფიერებას, ყველაფერი სხვა რომ დარჩენილიყო შეუცვლელად.

როგორც ამ გეგმის შედგენისთვის, აგრეთვე საერთოდ მეურნეობის წინ წაწევისთვის უნდა ვიცოდეთ ჩვენ თუ რას წარმოადგენს ჩვენი ქვეყანა სასოფლო მეურნეობის მხრით, რა არის მისი ფაუნა, რა ჯიშებით დაჯილდოებია ის ბუნებას. ერთხელ გერმანია და ინგლისი შეეკითხენ რუსეთს ერთი რუსეთიდან გამოტანილ ბალახზედ. რუსეთმა უპასუხა ეს ბალახი ჩვენში არ არის. ისინი კი დაჟინებით ეუბნებოდენ: უსათუოდ რუსეთში არის, ჩვენ ის გამოვცადეთ 14 ჩვენი საცდელი მინდვრებში და სჯობნის სუყველა ამ ჯიშის ბალახებსო. შეიქნა მიწერ მოწერა. დააყენეს ფეხზედ ყველა სასოფლო მეურნეობის დაწესებულებები და დიდის ძებნის შემდეგ აღმოაჩინეს, რომ მართლაც ეს ბალახი ორლოვის და ტულის გუბერნიებში ყოფილა, სადაც გლეხობა სარგებლობს მით სამოცი წლის განმავლობაში. ერთხელ კიდევ საზღვარ გარეთიდან სთხოვდენ რუსეთს ერთი შვრიის ჯიშს, რუსეთმა კი ამ ჯიშის შესახებ არაფერი იცოდა. დიდი მიწერ-მოწერის შემდეგ, ამერიკელების დახმარებით გამოარკვიეს, რომ ეს ჯიში ხერსონის გუბერნიაში ყოფილა, გამოუცდიათ ერთ ამერიკელ შტატის საცდელ მინდორში და გამომდგარა საუკეთესო მოსავლიანი, ძალიან საადრეო და გვალვის ამტანი. ეს იყო რუსეთში, მაგრამ სამწუხაროდ მდგომარეობა ჩვენშიც ასეთია: ჩვენ თვითონ არ ვიცით ჩვენი ქვეყანა. იმის მიუხედავად, რომ ჩვენში საუცხოვო ვენახის ჯიშები არის, ზოგი ჩვენი მემამულეები დღესაც უცხო ჯიშებს აშენებენ. მართალია ისინი სასტიკად ისჯებიან, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება—ჩვენ არ ვიცით ჩვენი ქვეყნის მცენარეების ჯიშები და თუ მოვინდომეთ ამის შესახებ ცნობების მიღება დაგვჭირდება უცხოელების დახმარება. ეს ასე რომ არ ხდებოდეს საჭიროა ადგილობრივი ჯიშების შესწავლა როგორც გლეხის მეურნეობის პირობებში, ისე საცდელ მინდვრებში.

ეკ. გ. ხანძე.

(დასასრული იქნება)

---

*) იხ. „კომუნისტი“ № 158. 1921 წ.

გენუის კონფერენცია

კონფერენციის საზეიმო გახსნა

რომი. 11 აპრილი, (რადიო). კონფერენციის გახსნის ცერემონია მოხდა 10 აპრილს ნაშუადღევის სრულ 15 საათზე. პირველი სხდომა შესწყდა 19 საათსა და 15 წუთზე. პირველი სხდომა გაიმართა სან-ჯორჯიოს სასახლის დიდებულ დარბაზში.

14 საათისა და 55 წუთზე ყველა დელეგაციებს, სეკრეტარიატს, მთარგმნელებს, მოწვეულ პირთ და პრესის წარმომადგენლებს უკვე ეკავათ თავთავიანთი ადგილი. ზარის პატარა დარაწკუნების შემდეგ ფაქტამ გახსნა კონფერენცია და იტალიის მეფისა და იტალიის მთავრობის სახელით მხურვალე სალამი მიუძღვნა დელეგატებს. იტალიის დელეგაციის მეთაურმა ფაქტამ ამასთან ერთად გამოაქვეყნა იტალიის მეფის შემდეგი დეპეშა:

იტალიის მეფის დეპეშა.

რომი. 11 აპრილი, (რადიო). გენუას კონფერენციის თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილ თავის დეპეშაში, იტალიის მეფე, გამოსთქვამს იმედს ხალხთა შორის მშვიდობიანობის ჩამოგდებისას და მათ შორის მშვიდობიან თანამშრომლობის აღდგენისას. დასასრულ მისალმებაში იტალიის ხალხის სახელით გამოთქმულია საუკეთესო სურვილები.

თავმჯდომარის არჩევნები.

რომი. 11 აპრილი, (რადიო). მისასალმებელი დეპეშების და მათ შორის პუანკარეს დეპეშის გამოქვეყნების შემდეგ, ფაქტა წინადადებას აძლევს დელეგატებს ამოირჩიონ მუდმივი თავმჯდომარე. ლლოიდ-ჯორჯის წინადადების თანახმად, ერთხმად კონფერენციის თავმჯდომარეთ ირჩევენ იტალიის დელეგაციის მეთაურს ფაქტას, აღსანიშნავათ მადლობისა იმ პასუხისაგები მუშაობისათვის, რომელიც მიიღო თავის თავზე იტალიამ კონფერენციის მოწვევის საქმეში და იმ დიადი ერისათვის სათანადო პატივისცემის მისაძღვნელად, რომელიც არის დასაბამი უფლებისა, თავისუფლებისა და მშვიდობიანობისა. ყველა დელეგატები უმართავენ ფაქტას ხანგრძლივ ოვაციას.

ფაქტას სიტყვა.

რომი. 11 აპრილი, (რადიო). ფაქტამ თავის მისასალმებელ სიტყვაში, სხვათა შორის ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ამიერიდან აღარ უნდა არსებობდეს არც გამარჯვებულნი და არც დამარცხებულნი. ეს სიტყვები დაფარულ იქნა ცხარე ტაშით. შემდეგ ამისა ფაქტამ განაცხადა, რომ კონფერენცია მოწვეულია კანის გადაწყვეტილებათა საფუძვლებზე, რაიც შეტყობინებული აქვს გენუაში მოწვეულ ყველა სახელმწიფოთ. იტალიის მთავრობა დარწმუნებულია, რომ ამ სახელმწიფოთაგან მოწვევის მიღება, მომასწავებელია თვით კანის დადგენილებათა მიღებისა.

ბორდო 11 აპრილი (რადიო). პარიზის საღამოს პრესას მოყავს დაწვრილებითი ცნობები ფაქტას სიტყვის შესახებ. ძირითადი მომენტები ხსენებულ სიტყვისა შემდეგია: „მთავარი მიზეზი იმ კრიზისისა, რომელსაც ამ ჟამად ევროპა განიცდის მდგომარეობს ხალხთა შორის არსებულ უნდობლობაში. ეს უნდობლობა—ომის მემკვიდრეობაა. მომენტის მთავარი მიზანია მშვიდობიანი თანამშრომლობის შექმნა და ომის მიერ შერყეულ ნაციონალურ და ეკონომიური სიძლიერის აღდგენა.

დელეგატების სიტყვები.

რომი 11 აპრილი (რადიო). ფაქტას შემდეგ გამოვიდა ლლოიდ-ჯორჯი, რომელსაც მხურვალე ტაშის ცემით მიეგებენ. ტაშის ცემით შეხვდენ აგრეთვე ბარტუს სიტყვებს. სიტყვები წარმოსთქვეს იაპონიის და ბელგიის წარმომადგენლებმა, ვირტმა და ჩიჩერინმა.

პირველი შეჯახება.

რომი 11 აპრილი (რადიო). როგორც კი საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელმა დაამთავრა თავისი სიტყვა, მაშინვე სიტყვა აიღო ბარტუმ, რომელმაც განაცხადა, რომ ჩიჩერინმა აღძრა მთელი რიგი იმ საკითხებისა, რომელნიც სცილდებიან კანის დადგენილებათა ფარგალს, რაც უცვლელად უნდა იქნეს დატოვებულიო. ბარტუმ პროტესტი განაცხადა ჩიჩერინის წინადადების წინააღმდეგ, რომელიც შეეხებოდა საერთაშორისო კონფერენციის მოწვევასა და აგრეთვე იმას, რომ გენუას კონფერენციაზე განხილულ ყოფილიყო ისეთი საკითხები, რომელნიც დაკავშირებულნი არიან შეიარაღების შემცირებასთან, რადგანაც ეს საკითხები გამოშვებულნი არიან კანის პროგრამიდან საფრანგეთის მთავრობის სახელით ბარტუ აცხადებს, რომ იგი ამ გზას ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაჰყვება.

ჩიჩერინის პასუხი.

რომი. 11 აპრილი (რადიო). ჩიჩერინმა საპასუხო სიტყვაში განაცხადა, რომ გენუას კონფერენციის დღის წეს-რიგში არიან ისეთი საკითხებიც, რომელნიც გათვალისწინებული არ არის კანის პროგრამის მიერ. ამიტომ მას შეუძლიან იფიქროს, რომ კონფერენციაზე შეიძლება აღძრულ იქნეს ისეთი საკითხები, რომელნიც პირველად შეტანილი არ იყვნენ ხსენებულ პროგრამაში, ჩიჩერინი დაჟინებით არ მოითხოვს მის მიერ წამოყენებულ საკითხების განხილვას, რადგანაც რუსეთს არ სურს გახდეს მიზეზათ კონფერენციის ჩაშლისა და ამიტომ წინდაწინვე აცხადებს თანხმობას დაემორჩილოს კონფერენციის მონაწილეთა უმრავლესობის გადაწყვეტილებას.

ლოიდ ჯორჯი აშვიდებს.

რომი. 11 აპრილი (რადიო). ხელახლავ გამოდის ლოიდ ჯორჯი, რომელსაც კვლავ ტაშის ცემით ეგებებიან. ინგლისის პრემიერი აცხადებს, რომ ჩიჩერინი მოვიდა კონფერენციაზე ისეთი წინადადებით, რომელიც ასაფეთქებელ მასალას გვაგონებს. ჩვენ უნდა აღვიჭურვოთ ზავის იდეით უნდა შევიმუშაოთ კონფერენციის პროგრამას. ხოლო ჩიჩერინის წინადადება ერთა ლიგის შესახებ შეიძლება გარჩეულ იქნეს თავის დროზე. ამ ჟამად განიარაღების საკითხის განხილვა უდროოვოა, რადგან ხალხს სურს მოისმინოს კონფერენციის შედეგები. ხოლო როდესაც დელეგატები დაბრუნდებიან შინ მშვიდობიანობის იდეით აღფრთოვანებულნი, მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი განიარაღების შესახებ მოლაპარაკების დაწყება რუსეთის დელეგაციამ მიიღო კანის გადაწყვეტილებანი და ამიტომ საჭიროა ჩვენი მუშაობა შევუფარდოთ კანის პროგრამას.

კანის პროგრამა.

რომი. 11 აპრილი (რადიო) ადასტურებს რა ლოიდ ჯორჯის სიტყვებს ფაქტა კატეგორიულად აცხადებს, რომ გენუას კონფერენციას საფუძვლად უდევს კანის გადაწყვეტილებანი და ამიტომ აუცილებელია სავსებით დავეყრდნოთ ამ უკანასკნელის დადგენილებით.

ცოტა ვიმსჯელოთ.

რომი, 11 აპრილი (რადიო). ჩიჩერინი და ბარტუ კვლავ თხოულობენ სიტყვას, მაგრამ ფაქტა მიმართავს: მათ თხოვნით უარი სთქვან სიტყვებზე, რათა გამოწვეულ არ იქნეს ახალი კამათი, რომელსაც შეუძლია ინციდენტები გამოიწვიოს.

კანის პირობები შეუცვლელია.

რომი, 11 აპრილი, (რადიო). საფრანგეთის დელეგაციის თავმჯდომარეს ბარტუს, რომელიც უარს აცხადებს სიტყვაზე, წინადადება შეაქვს, რომ ყველა დელეგატებმა, რომელთაც მიიღეს კანის გადაწყვეტილებანი პასუხი გასცენ მის მიღებას ან დადებითად და ან უარყოფითად ფაქტა იმეორებს, რომ კანის გადაწყვეტილებანი შეუცვლელია, ფაქტას ამ განცხადებას არ გამოუწვევია არც პროტესტი და არც კამათი. სიტყვა არავის არ მოუთხოვია. ამრიგათ კანის პროგრამა მიღებულია. დასასრულ თავმჯდომარემ გამოაქვეყნა კონფერენციის რეგლამენტი, რომელიც უკამათოდ იქნა მიღებული.

კონფერენციის მეორე სხდომა.

რომი, 11 აპრილი, (რადიო) კონფერენციის მეორე სხდომა დანიშნულია 11 აპრილისათვის. სხდომა მოხდება მეფის სასახლეში. ბარონი ავეცანნა დამტკიცებულ იქნა კონფერენციის გენერალურ მდივნათ. ამორჩეულ იქნა 4 კომისია, რომელშიაც შედიან ყველა ერების წარმომადგენლები. კომისიის მუშაობა დაიწყო 11 აპრილს.

კონფერენციის მუშაობის წესი.

ლონდონი. გაზეთი „მორნინგ პოსტი“ იტყობინება, რომ გენუაში მონაწილე ყველა სახელმწიფოთა შორის, გარდა რუსეთის და გერმანიისა, მიღებულია შეთანხმება კონფერენციის მუშაობის წესის შესახებ. გადაწყვეტილია, რომ კონფერენციის პირველი სხდომები იქნება ახდილი. ამ სხდომებზე სხვადასხვა დელეგაციები გამოსთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს ამა თუ იმ საკითხების შესახებ და მათი წინადადებები გადაეცემა კომისიებს, რომელნიც წარმოადგენენ თავის დასკვნებს ამ წინადადებების შესახებ კონფერენციის უკანასკნელი პლენარული სხდომებისათვის.

წინასწარი თათბირი.

ბერლინი, 11 აპრილი, (რადიო) გენუაში მომხდარ დიდ სახელმწიფოთა წინასწარ თათბირზე, ბარტუმ გაილაშქრა ლოიდ ჯორჯის წინადადების წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვდა რუსეთისა და გერმანიის წარმომადგენლების დაშვებას ქვეკომისიების მუშაობაში. ბარტუ მოითხოვდა, ყოველ მიზეზის გარეშე კანის რეზოლიუციების დაცვას.

რუსეთს სურს თანამშრომლობა.

ბორდო. 11 აპრ. (რადიო). ფაქტას და შანცერს ქონდათ თათბირი რუსეთის დელეგატებთან. თათბირის მიზანი იყო შეთანხმებული მუშაობის წარმოება. კონფერენ. ნაყოფიერების უზრუნველსაყოფად რუსეთის დელეგატებმა გამოსთქვეს თავისი სურვილი გასწიონ თანამშრომლობა ყველა საკითხებში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს კონფერენციის მუშაობის ნაყოფიერება.

დიდი და მცირე ანტანტა.

პარიზი. 11 აპრ. (რადიო). შაბათს მოხდა წინასწარი თათბირი ანტანტის სახელმწიფოების და მცირე ანტანტის წარმომადგენლებისა. ირჩეოდა საკითხი რუსეთის ფინანსების, ეკონომიური მდგომარეობისა და ტრანსპორტის შესახებ. ამ თათბირზე ბარტუმ გამოაქვეყნა საფრანგეთის დელეგაციის ხასიათი, რომელმაც უნდა იმუშაოს კონტაქტში მთავრობის თავმჯდომარესთან და თანახმად დეპუტატთა პალატის ინსტრუქციებისა საფრანგეთის დელეგაცია, განაცხადა ბარტუმ, არ არის აღჭურვილი საერთო მანდატით, რომელიც აძლევდეს მას უფლებას მიიღოს პასუხისმგებლობა გენუას კონფერენციაზე ამა თუ იმ გადაწყვეტილების შესახებ.

ჩიჩერინის განცხადება.

მოსკოვი. 12 აპრ. (რადიო). ბერლინიდან 8 აპრილის თარიღით იტყობინებიან: ჩიჩერინმა, იტალიის საზღვარზე გადასვლის დროს, გაზეთი „ბერლინერ ტაგებლატი“-ს კორესპოდენტს შემდეგი განუცხადა: „საბჭოთა დელეგაცია გენუაში, თანახმად რუსი ხალხის ფართო წრეების კოლლექტიური ნებისყოფისა, იმოქმედებს შემდეგი ძირითადი პრინციპების მიხედვით: ხელუხლებლობა რუსეთის სუვერენულ უფლებებისა, საბჭოთა ხელისუფლების განკარგულებაში შენარჩუნება სამეურნეო ორგანიზმის მნიშვნელოვანი და ცხოველმყოფელი ელემენტებისა, შენარჩუნება მუშათა კლასის სოციალური მონაპოვართა და ანტანტისათვის, ინტერვენციების წყალობით რუსეთისათვის მიყენებულ ზარალის ანაზღაურების პრეტენზიის წაყენება.

თათბირი ჩიჩერინისა და ფაქტას შორის.

მოსკოვი. 11 აპრ. (რადიო). საფრანგეთის პრესა იუწყება, რომ კონფერენციის გახსნამდის ჩიჩერინს, ლიტვინოვისა და ბოროუსკის თანადასწრებით თათბირი ქონდა იტალიის პრემიერ ფაქტასთან. ბაას გულითადი ხასიათი ქონდა და გაგრძელდა დაახლოვებით ერთ საათს თათბირზე ირჩეოდა კონფერენციის მუშაობის ორგანიზაციის საკითხი.

ნეიტრალურ სახელმწიფოთა თათბირი.

მოსკოვი 12 აპრილი (რადიო) ნეიტრალურ სახელმწიფოთა ექსპერტებმა ბერნში გამოიტანეს რეზოლიუცია, რომელიც აღნიშნავს სერიოზულ ეკონომიურ მდგომარეობას და მძიმე მუშაობის აუცილებლობას გენუის კონფერენციაზე დადებითი შედეგების მისაღწევად.

კონფერენციამდის.

მოსკოვი. 12 აპრილი (რადიო). ლონდონიდან 8 აპრილის თარიღით იუწყებიან: 10 აპრილს, საღამოს, გენუაში უნდა მომხდარიყო იმ 5 სახელმწიფოს წარმომადგენლების წინასწარი შეხვედრა, რომელშიც არიან ინიციატორები გენუის კონფერენციის მოწვევისა. ამ თათბირზე უნდა გამოირკვეს, სურთ თუ არა მართლაც საბჭოთა რუსეთის დელეგატებს იცნონ კანის პირობები. იმავ დღეს უნდა მომხდარიყო უმაღლეს საბჭოს უკანასკნელი სხდომა, რომლის შემდეგაც უმაღლესი საბჭო გაუქმდება.

საფრანგეთი და ინგლისი.

მოსკოვი 12 აპრილი (რადიო). ლოიდ-ჯორჯმა პუანკარესთან ბაასის დროს სხვათა შორის აღნიშნა, რომ ძლიერ სამწუხარო იქნებოდა, რომ მას, ინგლისში დაბრუნების დროს, განეცხადებია საზოგადოებისათვის, რომ გენუის კონფერენცია, რომლისგანაც მოელოდენ ევროპის აღორძინებას, ჩაიშალა მხოლოდ იმისათვის, რომ საფრანგეთმა გამოიჩინა ორგულობა.

— გაზეთი „დეილი ქრონიკლი“ იუწყება, რომ პუანკარესთან ბაასის დროს ინგლისის პრემიერმა გულახდილად განაცხადა, რომ საფრანგეთის ყოველ ცდას, გენუის კონფერენციის საბოტაჟისას, ექნებოდა ინგლისისათვის საბედისწერო მნიშვნელობა და ძალიან დასცემდა საფრანგეთის პრესტიჟს ინგლისის საზოგადოებრივი აზრის თვალში. ლოიდ-ჯორჯმა მიუთითა პუანკარეს გენუის მიმართ უარყოფითი ან პასიური პოზიციის შეუძლებლობაზე. პუანკარემ თავის პასუხში კატეგორიულად უარყო ხმები, თითქო საფრანგეთი საბოტაჟით ემუქრებოდეს კონფერენციას.

რუსეთის ცნობის შესახებ.

მოსკოვი 12 აპრილი (რადიო). **გაზეთი ,,ტაიმსი‘‘-ს ცნობით ლლოიდ-ჯორჯი დიდ მნიშვნელობას აძლევს საბჭოთა მთავრობის იურიდიულათ ცნობას და ხმელეთზე განიარაღების საკითხებს. გაზეთი აღნიშნავს, რომ ლლოიდ-ჯორჯი ყოველგვარ ზომებს მიიღებს გენუაში ამ ორი საკითხის დადებითად გადასაწყვეტად.**

უფლებრივი ღონისძიებანი რუსეთისა.

მოსკოვი 12 აპრილი (რადიო) ჟურნალისტებთან ბაასის დროს იუსტიციის სახალხო კომისარმა ამხ. კურსკიმ შემდეგი განაცხადა: „ჯერ კიდევ დიდხანს, გენუას კონფერენციის მოწვევამდე, საბჭოთა მთავრობამ დაიწყო მთელ რიგ უფლებრივ ღონისძიებათა გატარება. ამ ჟამად თავდება დამუშავება სავალდებულო უფლებათა კოდექსისა, რომელიც იქნება სასამართლოებისათვის სახელმძღვანელოთ სამოქალაქო დავის გადასაწყვეტად. მთავრობა დიდ მნიშვნელობას აძლევს სოფლის მეურნეობის მოწესრიგებას. დატოვა რა სავსებით შეურყევლათ მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობის პრინციპი, რომელიც გამოცხადებული იყო ოქტომბრის რევოლიუციის მიერ, სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო და შეიტანა დასამტკიცებლად სრულიად რუსეთის აღმასრულებელ კომიტეტში დეკრეტი, რომელიც აძლევს უფლებას მიწათმომქმედ საზოგადოებათ თავისუფლად ამოირჩიონ რომელიც უნდათ ფორმა მიწის სარგებლობისა და აგრეთვე დააწესონ სასურველი ფორმა მეურნეობის წარმოებისა. დეკრეტი დაწვრილებით არკვევს და აწესრიგებს მიწის გადამიჯვნის წესს (передел) და აგრეთვე დასახმარებელ დაქირავებული შრომის შემოღებას, მშრომელთა წესწყობილების სისტემის აუცილებელი შენარჩუნებით. დამუშავებულია დებულება სახელმწი-

ფოებრივი წარმოებათა მმართველობისა. განზრახულია იუსტიციის ორგანოთა შემდეგი ორგანიზაცია: სახალხო მოსამართლენი და რევოლიუციონური ტრიბუნალები უწინდებურათ რჩებიან სასამართლო ორგანოების ძირითად ფორმათ, მაგრამ განზრახულია მათი გაერთიანება, ადგილობრივი ხელმძღვანელობისათვის, გაერთიანებული პრეზიდიუმის ფორმის და აგრეთვე სახელმწიფოებრივი პროკურატურის დაწესებით. ადვოკატურის ორგანიზაცია განზრახულია დამცველთა კოლეგიის სახით სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეებისათვის. რუსეთის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი წარდგენილია სახალხო კომისართა საბჭოში დასამტკიცებლად. სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტის მაისის სესია განიხილავს და საბოლოოდ დაამტკიცებს განზრახულ უფლებრივ ღონისძიებათ.

სამი ინტერნაციონალის კონფერენციის გამო

ამხ. რადეკის წერილი.

მოსკოვი, 12 აპრილი (რადიო). ამხ. რადეკი გაზეთ „როტეფანეში" იხილავს რა შედეგებს სამი ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტების კონფერენციის, აღნიშნავს, რომ დაუყონებლივი მოწვევა საერთაშორისო პროლეტარიატის სადემონსტრაციო კონგრესისა შეუძლებელი გახდა მხოლოდ მე-2 ინტერნაციონალის წინააღმდეგობის გამო. როგორც აღნიშნავს რადეკი, მე-2 ინტერნაციონალის წარმომადგენლები, ვერსალის ხელშეკრულების საკითხის დასმისას, იმუქრებოდნენ კონფერენციიდან წასვლით. მეორე მიზეზი, რომელიც აიძულებდა მე-2 ინტერნაციონალის დელეგატებს ზომები მიეღოთ კონფერენციის ჩასაშლელად, მდგომარეობდა იმაში, რომ თუ შეიქმნებოდა საერთაშორისო მთლიანი პროლეტარული ფრონტი; მეორე ინტერნაციონალი იძულებული გახდებოდა სათანადო დასკვნები გამოეტანა ნაციონალური მთლიანი პროლეტარული ფრონტის შესახებ. მაგრამ კომუნისტურსა და მე-2 ინტერნაციონალს შორის თავისთავად შექმნილმა ბლოკმა, შეძლო დაეძლია მე 2 ინტერნაციონალი, ასე რომ, ყოველ შემთხვევაში, მთლიანი პროლეტარული ფრონტის საფუძველი უკვე ჩაყრილია. აპრილში უნდა მოხდეს საერთაშორისო დემონსტრაციები. მხოლოდ მის შემდეგ, რაც ინტერნაციონალმა თვითონ დაიწყო შემოტევა კომუნისტური ინტერნაციონალის წინააღმდეგ, ამ უკანასკნელის დელეგაცია გადავიდა კონტრ-შეტევაზე, რომელიც სავსებით საკმარისი იყო იმისათვის, რომ აეძულებია მე-2 ინტერნაციონალი უარი ეთქვა საბოტაჟის პოლიტიკაზე".

ვარშავიდან 8 აპრილის თარიღით იტყობინებიან: რუსული კადეტური გაზეთი „რული" აღნიშნავს: სამი ინტერნაციონალის ყრილობის უმალვე გამოირკვა, რომ მე 2 და მე 3 ინტერნაციონალებს შორის მთელი უპირატესობა კომუნისტურ ინტერნაციონალის მხარეზე აღმოჩნდა. მე 2 ინტერნაციონალს უფრო მეტ დათმობაზე დასჭირდა წასვლა, ვინემ მე 3 ინტერნაციონალს. შეთანხმება მე-2 ინტერნაციონალსა მე-3 ინტერნაციონალთან, ნიშნავს ამ უკანასკნელის გამარჯვებას და უფრო ამტკიცებს კომუნისტური ინტერნაციონალის გავლენას.

ამხ. ლენინის აზრი.

ამხ. ლენინი გაზეთ „პრავდის" მოწინავე წერილში „ჩვენ ეს ძლიერ ძვირად დაგვიჯდა" იხილავს სამი ინტერნაციონ. კონფერენ. შედეგებს და სწერს: ჩემის რწმენით ჩვენმა წარმომადგენლებმა შეცდომა ჩაიდინეს, როდესაც ისინი დაეთანხმნენ შემდეგ პირობებს: პირველი,—საბჭოთა რუსეთმა არ უნდა მიმართოს სიკვდილით დასჯას 47 სოციალისტ-რევოლიუციონერების საქმეში, მეორე—საბჭოთა ხელისუფლება ნებას მისცემს დაესწროს სხდომას 200 მუშის წარმომადგენლებს.

ეს პირობები არის მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური დათმობა, რომელიც ჩაიდინა რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა რეაქციონური ბურჟუაზიის მიმართ. თუ ვინმეს ეჭვი დაებადება საკითხის ასეთ განსაზღვრაში ამგვარი ადამიანის პოლიტიკური გულუბრყვილობის გამოსააშკარავებლად საკმარისია დავსვათ საკითხი: თანახმა იქნება თუ არა ინგლისის ან სხვა რომელიმე თანამედროვე მთავრობა, რომ ყველა სამივე ინტერნაციონალის წარმომადგენლები დაესწრონ პროცესს ირლანდიის მუშებისას, რომელთაც ბრალს სდებენ აჯანყებაში და სამხრეთ აფრიკის მუშებისას, რომელთაც ამტყუნებენ წასულ აჯანყების მოწყობაში. თანახმა იქნება თუ არა ინგლისის ან სხვა რომელიმე მთავრობა, ასეთ შემთხვევებში, მისცეს მათ პირობა, რომ ამ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მიმართ იგი მიიღებს (დამახინჯებულია). ძალიან მცირე დაკვირვებაა იმისათვის საჭირო, რომ ნათლათ წარმოვიდგინოთ შემდეგი უბრალო რამ: ჩვენ წინაშე (დამახინჯებულია)... ბრძოლა რეაქციონურ ბურჟუაზიისა რევოლიუციონურ პროლეტარიატთან. ამ შემთხვევაში კომიტეტი, რომელიც წარმოადგენს ერთ მხარეს ამ ბრძოლისას, პოლიტიკურათ უთმობს მეორე მხარეს, რეაქციონურ ბურჟუაზიას, ვინაიდან ყველამ, მთელ ქვეყანაზე გარდა იმათისა, ვისაც აშკარა სინამდვილის გაგება არა სურს, იცის რომ თუ (დამახინჯებულია)... კომუნისტები აწყობენ მათ წინააღმდეგ აჯანყებას (გამოტოვებულია)., საკითხავია რა დაგვითმო ამის ნაცვლად ჩვენ საერთაშორისო ბურჟუაზიამ. ამაზე შეიძლება მხოლოდ ერთი პასუხი გავცეთ: ჩვენთვის არაფერი არ დაუთმოთ.

კაპიტალიზმის სამეფოებში

პასუხი საკონტრიბუციო კომისიას.

ნაუენი 11 აპრილი (რადიო) გერმანიის მთავრობამ გასცა თავისი პასუხი საკონტრიბუციო კომისიის ნოტას 10 აპრილს. გერმანიის პასუხში აღნიშნულია, რომ საკონტრიბუციო კომისიის ნოტამ გერმანიას მოუტანა ფინანსიური დაბრკოლებები. დოლარი, რომელიც ფასობდა იანვარში 180 მარკა, აიწია მარტში 300 მარკამდე, ამასთან შეფარდებით აიწია ფასები პირველი მოთხოვნილების საქონლებზე. თუ გერმანია მომავალ წლისათვის ვერ შესძლებს შემოზიდოს გერმანიის საზღვრებში ხორბალი 500 მილიონი მარკის ღირებულების (ოქროთი), იმ შემთხვევაში გერმანიაში გამეფდება შიმშილი, რომელიც დაანგრევს არა მარტო ცენტრალურ ევროპას, არამედ მთელს მსოფლიოს. ამის გამო გერმანია იძულებულია სთხოვოს საკონტრიბუციო კომისიას გადასინჯოს 21 მარტის დადგენილება გერმანიის მთავრობა ფიქრობს გადასცეს ექსპერტებს სახელმწიფოების წარმომადგენლებს, რომლებიც უშუალოდ არ არიან დაინტერესებულნი, მიახდინონ გამოძიება გერმანიისა და ანტანტის გადასახადთა სისტემის. გერმანიის მთავრობა აღიარებს, რომ საერთაშორისო სესხი აუცილებელია გერმანიისათვის, რადგან შექმნის შეუძლებლობას მომავალ წლის სავალდებულო გადასახადის გადახდისა. მაგრამ ეს სესხი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ობლიგაციებზე ხელის მომწერნი დარწმუნებულნი იქნებიან, რომ ამ სესხით დახურულ იქნება არა მარტო წლიური გადასახადები კონტრიბუციის ხასიათისა, არამედ კიდევ სხვა ვალდებულებები დახურდავებისა. გარანტიები, საკონტრიბუციო კომისიის მიერ მოთხოვნილი იანვარში, გერმანიის წინადადების გარეშე, ვერ იქნება მიცემული გერმანიის მიერ. ახალი გადასახადები, რომლებიც 60 მილიარდ მარკას აღწევს, განუხორციელებელია.

საკონტრიბუციო კომისიის მიერ შემუშავებული კონტროლი მიუღებელია, რადგან გერმანიის სუვერენიტეტს ეწინააღმდეგება. დასასრულ გერმანიის მთავრობა აღუთქვამს, რომ ის მზათაა მიაწოდოს საკონტრიბუციო კომისიას ყველა საჭირო ცნობები შესახებ გერმანიის ფინანსებისა.

ჯოჯოხეთის მანქანა.

ნაუენი. 11 აპრილი (რადიო). იმ დროს როდესაც საფრანგეთის ჯარისკაცები შედიოდნენ სამლოცველოში, რომელიც მოთავსებული იყო სასაფლაოზე გლეინიცში (ზემო სილეზიაში) მოხდა აფეთქება დაფარულ ჯოჯოხეთის მანქანით. მოკლულია 16 ჯარისკაცი, 10 მძიმედ დაჭრილია. საფრანგეთის მმართველობამ მიიღო სწრაფი ზომები გამოსაძიებლად დაჭრილთათვის დახმარების აღმოჩენა დაევალა გერმანელ ექიმებს.

მოლაპარაკება სტინესთან.

ბორდო. 11 აპრილი, (რადიო). „ფორვერტსი" იუწყება: რადეკმა ბერლინში მისვლის შემდეგ გამართა მოლაპარაკება სტინესთან შეთანხმებლად რუსეთის რკინის გზის ექსპლოატაციის შესახებ.

სასოფლო-სამეურნეო ფრონტზე

შარშანდელი წლის მუშაობის ჯამი.

ოფიციალური ცნობებით 1906—1917 წლების განმავლობაში საქართველოში საშუალოდ ყოველ წლიურად ითესებოდა 700 ათასამდე დესიატინა. პურის საშუალო მოსავალი აღწევდა 35—36 მილიონ ფუთს. პურეულობის მოთხოვნილება მცხოვრებლების სურსათისათვის, და სათესლად აღწევდა 40—41 მილიონ ფუთამდე. პურის დანარჩენ რაოდენობას საქართველო ღებულობდა ჩრდილო კავკასიიდან. 1910—1916 წლების განმავლობაში წლიურად შემოდიოდა საშუალოდ 4—5 მილიონი ფუთი.

ომის განმავლობაში დათესილი მინდვრების სივრცე საქართველოში შემცირდა და 1917 წელს შეადგინა 500 ათას დესიატინას. 1918—1919 წლებში პურზე ფასების აწევამ და საბჭოთა ოპერაციების შეწყვეტამ, უფრო მაღალი კულტურის პროდუქტების გადატანის შეუძლებლობამ აწევიეს თესვის ასპარეზის სიდიდე და 1920 წელში დაითესა დაახლოვებით 600 ათასი დესიატინა, რომლის მოსავალი აღწევდა 34 მილიონ ფუთს. თესვის სივრცის გადიდება მოხდა უმთავრესად ქუთაისის გუბერნიაში. ცენტრალურ სტატისტიკურ სამართველოს წინასწარი ცნობებით, რომელიც ჯერ საბოლოოდ არ არის გადასინჯული, პურების მოსავლის ნაკლულევანება გამოიხატა: აღმოსავლეთ საქართველოსთვის 10 პროცენტში და დასავლეთისთვის—,4 პროცენტში. მოსავალი სიმინდის ხორბლისა და ქერის გამოიხატა დააბლოიბის შემდეგ ციფრებში: 9,2 მილიონ ფუთამდის აღმოსავლეთ საქართველოსთვის, და 12,7 მილიონ ფუთამდის დასავლეთ საქართველოსთვის, და სულ 22 მილიონ ფუთამდე.

ამნაირად, მიმდინარე სასურსათო წლის დეფიციტი ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს წინასწარ ცნობებით შეადგენს: 1909—1913 წლების საშუალო მოსავლიან შედარებით, რომელიც გამოიხატებოდა 25,87 მილიონ ფუთში,—4 მილიონ ფუთს, და 1921 წლის მოსალოდნელ მოსავალთან შედარებით, რომლის ნორმალურმა მოსავალმა უნდა მოგვცეს 31,87 მილ. ფ.,—10 მილიონ ფუთს. უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ციფრები, რომლებიც განსაზღვრავენ მოსავლის აკრეფას, ეხება მხოლოდ თბილისის და ქუთაისის გუბერნიებს, იმ დროს, როცა 1921 წლის მოსავლის ჯამთან შედარებული ციფრები ეხება მთელ საქართველოს, და აგრეთვე აჭარისტანს და აფხაზეთს. ყოველ შემთხვევაში მოსავლის ნაკლებობა 1921 წელში ძლიერ საგრძნობია.

თუ ომამდი საქართველოში შემოდიოდა 4—5 მილიონი ფუთი პური, ეხლა დასჭირდება 2 ჯერ მეტი. უფრო სწორი ციფრის აღნიშვნა ძნელია რადგანაც ერთის მხრივ, მოუსავლობის გამო მცხოვრებლებმა საგრძნობლად შეამცირეს მოხმარების ნორმა; და მეორეს მხრით არ მოიპოვება ცნობები პურის ძველი მარაგის შესახებ, რომელიც მცხოვრებლებს აქვთ.

საზოგადო ჯანმრთელობა

მალარიასთან ბრძოლა

ბრძოლა მალარიასთან, რომელიც მძინვარებს ამიერ-კავკასიის სხვა და სხვა კუთხეებში, შეადგენს საჭირბოროტო საკითხთაგანს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობისა მცხოვრებთა გაჯანმრთელების შესახებ. ამ ჟამათ როდესაც საბჭოთა რესპუბლიკები, ეწევიან ორგანიზაციულ მუშაობას და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა გაჩაღებულია, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებმა უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება მალარიას, რომელსაც ხელის, მაგრამ და მტკიცე ნაბიჯით მიჰყავს ამიერ კავკასიის მცხოვრებნი სრულ გადაშენებამდე. ამ საყოველთაო სიმშილის დროს, რომელიც ართულებს და ხელს უწყობს ეპიდემიურ ავადმყოფობას, საეპიდემიო საჭირო ზომები უნდა შეუთანასწოროთ სიმშილთან ბრძოლის მოთხოვნილებებს და ზომებს. თავის თავათ ცხადია რომ იგი აძლევს ეპიდემიას ძლიერ საზდოს აღმოცენებისათვის და ჩვენ უნდა ამისთვის ვიყოთ მზათ. სტატისტიკური ცნობები ავადგახდომისა და სიკვდილისა ამიერ კავკასიის ზოგიერთ კუთხეებში გვაძლევს სურათს მცხოვრებთა ხელ ნელა გადაშენებისა. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს აქვს რამდენიმე მალარიით მოცული ადგილები, რომლებიც აძლევენ მცხოვრებთ დიდ ზარალს. ვრცელი და მშვენიერი ველი მდინარე ალაზნის-იორისა, ლამაზი შავი ზღვის ნაპირები, ოზურგეთის და სამტრედიის რაიონები და სხვა საქართველოს ადგილები, მთელი მუღანი და ელიზავეთპოლის რაიონი, ადერბეიჯანის [illegible] და [illegible], ნაწილი ალექსანდროპოლის მაზრისა, ერევანი და [illegible] რაიონები [illegible], დიდ სივრცეზე წარმოადგენენ სამალარიო ადგილებს. ამ რაიონების მცხოვრებთ ფიზიკურათ ჯანი ელევათ ამ ავადმყოფობით და ადგია გადაშენების და მოსპობის გზას. მცხოვრებნი ხრონიკულ ციებ-ცხელებით ავადმყოფობენ აგრეთვე კოხექსიით და საჭიროებენ თავის დაუძლურებულ ორგანიზმის აღსადგენათ კლიმატიურ მოწყობილ სადგურებში ცხოვრებას. როგორც ვიცით ბრძოლა მალარიასთან წარმოებს ორ მიმართულებით: პროფილაქტიკის საშუალებით, ე. ი. სანიტარულ ჰიგიენურ ზომების მიღებით გაჯანსაღება ადგილისა, ჭაობების გაშრობით, კოღოების მოსპობით და სხვა, რომლებიც სპობს ეპიდემიის გაჩენის მიზეზს. მეორე საშვალება არის ავადმყოფთა ექიმობა. გამოცდილებამ და პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ არ არის საკმარისი მხოლოდ სპეციალური ექიმობა რომ საჭიროა კიდევ ექიმობა ავადმყოფთა იმ შედეგებიდან, რომელსაც სტოვებს ავადმყოფობა იმ გამანადგურებელ ძლიერ შხამის გამო, რომელიც მოქმედობს წითელ სისხლის ბურთზე, რომელთა დასუსტება და თვისებათა ცვლილება იწვევს სისხლ ნაკლებობას, რომელიც ძლიერდება ტყირპის გადიდებასთან ერთად.

ავადმყოფები, უმეტესი წილი მშრომელი ხალხისა, გამხდრები, დამახასიათებელი მიწის ფერი სახით, ექვგარეშე საჭიროებენ კურორტულ ექიმობას, რომ მათი დასუსტებული ჯანი აღსდგეს.

ამისათვის საჭიროა, რომ ასეთი ავადმყოფები იგზავნებოდნენ სპეციალურ კლიმატიურ სადგურებზე ე. ი. იმ ადგილებში, რომლებიც თავისუფალია მალარიიდან, აქვს კარგი მთის ჰავა, მშრალი ჰაერი, ჯანმრთელი და მთლიანი ადგილები და სხვა, ეპიდემიები, რომლებიც კეთილად იმოქმედებენ და ჯანს აღუდგენენ.

ამ მხრივ ზრუნვა სახელმწიფოსი—დიდია და იწვევს დიდ ხარჯს. სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის ხანაში, რესპუბლიკების მთავრობის ყურადღება დღეს უნდა იყოს მიპყრობილი ბრძოლისადმი ამ მართლაც და მშრომელ მასის დამღუპველ სენის წინააღმდეგ. დადგა გაზაფხული, მოვა ზაფხულიც და მეორე შემოდგომაც, ამ დროს განმავლობაში ჩვეულებრივ ისევ იფეთქებს მალარია, ამისათვის ყველა ორგანოები, რომლებიც იწევიან ბრძოლას, უნდა მზათ შეხვდნენ ამ დაუპატიჟებელ სტუმარს. რასაკვირველია, პირველი საშვალება ზემოთ ნაჩვენებ გაჯანსაღება ადგილისა, ითხოვს ჩვენ მატერიალურ საშვალებას და დროს. ე. ი.

რუსეთის კომპარტიის მეთერთმეტე ყრილობა

ამხ. ლენინის სიტყვა

ც. კ. პოლიტიკურ მოღვაწეობის შესახებ

გენუის კონფერენცია.

ნება მომეცით ც. კ. პოლიტიკური მოხსენება წლის დასაწყისიდან კი არა, ბოლოდან დავიწყო. მით უმეტეს, რომ ახლა პოლიტიკის საჭირბოროტო საკითხს გენუა წარმოადგენს.

საერთოდ ამ საკითხზე თქვენ ყველაფერი იცით, პრესა მას დიდ ყურადღებით ეპყრობა, ჩემის აზრით ერთობ დიდით, და ამით ნამდვილ პრაქტიკული და ჩვენი საკუთარი სამეურნეო აღმშენებლობის სასიცოცხლო საკითხები იჩრდილება. ევროპასა და ყველა ბურჟუაზიულ ქვეყნებში გენუის გარშემო ყოველგვარ მითქმა მოთქმით თავების ავსება ძალიან უყვართ და ჩვენ აქ (თუმცა არა მარტო აქ) ვბაძავთ მათ და ძალიან ფართოდაც.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი ც. კომიტეტში ყოველი ღონისძიება მივიღეთ რათა შეგვედგინა ჩვენს საუკეთესო დიპლომატებისაგან დელეგაცია. ახლა ჩვენ საბჭოთა დიპლომატებისათვის გენუაში მუშაობის დაწვრილებითი დირექტივები გამოვიმუშავეთ ც. კომიტეტში, ერთობ ფრთხილათ და ყოველ საკითხზე რამდენჯერმე ვუმსჯელეთ და რამდენჯერმე ხელახლათ განვიხილეთ და თავის თავად იგულისხმება, რომ აქ სდგას საკითხი, არ ვიტყვი სამხედრო, მაგრამ ყოველ შემთხვევაში შეჯიბრების კი. არსებობს მეტად ძლიერი მიმდინარეობა მოსურნე გენუის კონფერენციის ჩაშლისა, მაგრამ არსებობს სხვა მიმდინარეობაც, მისი, რათაც არ უნდა დაჯდეს, დამცველნი. ამ მიმდინარეობებმა დღეს გაიმარჯვეს ბოლოს, ბურჟუაზიულ სახელმწიფოების ბანაკში არის აგრეთ წოდებული პაციფისტური მიმართულება, რომელსაც უნდა მიეკუთვნოს მე-2 და მე-2 ნახევარი ინტერნაციონალი. ყველა ეს, ბურჟუაზიის ბანაკს წარმოადგენ, ბანაკს მთელ რიგ პაციფისტურ წინადადებათა დამცველს. ჩვენ როგორც კომუნისტებს ამ პაციპისტურ მსოფლ-მხედველობის შესახებ გვაქვს ჩვენი გარკვეული შეხედულება, რომელზედაც ზედმეტია აქ ლაპარაკი. გასაგებია, ისიც რომ გენუაში მივდივართ ჩვენ, არა როგორც კომუნისტები, არამედ როგორც ვაჭრები. ჩვენ გვინდა ვივაჭროთ და ეს იმათაც უნდათ. ჩვენ გვინდა ჩვენდა სასარგებლოთ ვივაჭროთ, იმათ კიდევ თავის სასარგებლოთ. როგორი სახით გაიშლება ბრძოლა ეს რამდენიმეთ დამოკიდებულია ჩვენს დიპლომატთა მოქნილობაზე ამიტომაც როდესაც ჩვენ მივდივართ გენუაში, როგორც ვაჭრები, ჩვენთვის სრულებითაც არაა სულ ერთი, თუ ვისთან გვექნება საქმე; იმ ბანაკთან, რომელიც საკითხის ხმლით გადაწყვეტას ლამობს, თუ პაციფიზმისკენ ლტოლვილ წარმომადგენლებთან თუნდაც ისინი კომუნიზმის თვალსაზრისით ძალიან ცუდნი იყვნენ და კრიტიკის ნასახს არ უძლებდენ. არ ვარგა არც ის ვაჭარი რომელიც ამ განსხვავებას ვერ გაარჩევს და მასთან არ შეაგუებს თავის ტაქტიკას.

ჩვენ მივდივართ გენუაში პრაქტიკული მიზნით; გავაფართოვოთ ვაჭრობა და შევქმნათ მისთვის ხელსაყრელი პირობები, თუნდაც ამის იმედს კონფერენცია რომ არ იძლეოდეს. იმედი ამაზე სასაცილოა და სისულელე. უნდა გითხრათ, რამდენათაც ფხიზლათ და სიფრთხილით არ უნდა მიუდგეთ გენუის კონფერენციის პერსპექტივებს, გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ჩვენ ამ მიზანს მივაღწევთ, მივაღწევთ გენუის საშუალებით, თუ იქაური ჩვენი თანამოთათბირენი გამოიჩენენ საკმაო წინდახედულებას და თუ ნამეტანი შეურიგებლობის გზას დაადგენ, მაშინაც ეს მოხდება გენუის გარეშე, ვინაიდან ამას მოითხოვს ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოების სასიცოცხლო, პრაქტიკული და უკანასკნელ წლებში აშკარათ თავნაჩენი ინტერესები. და რაკი ასეთი ინტერესები არსებობს, შეიძლება სხვა და სხვა კომბინაციების გარშემო ჩხუბი, წაკიდება, გათიშვა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს აუცილებლობა ძირითადი სამეურნეო საჭიროებისა თვით გაკაფავს გზას. ვფიქრობ ამაში ჩვენ დამშვიდებული უნდა ვიყვნეთ მე არ დაგიდებთ დროს, არც პირობას მოგცემთ გამარჯვებაზე, მაგრამ ამ კრებაზე კი დარწმუნებით გეტყვით, რომ რუსეთსა და სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის სავაჭრო დამოკიდებულებით საქმე უეჭველათ წინმსვლელობისკენ დაიძრება და განვითარდება. თუ როგორი შესვენებები იქნება აქ შესაძლებელი ამის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ.

ნათქვამით დავკმაყოფილდები და ღრმათ მწამს, რომ აქ არ არის დიდი სირთულე ეს ის საკითხი არაა რომელსაც პარტიამ მთელი თავისი უდიდესი ყურადღება უნდა მიაპყროს. ევროპის ბურჟუაზიული პრესა ხელოვნურათ ბერავს და აზვიადებს ამ კონფერენციის მნიშვნელობას და ატყუებს მით მშრომელ მასებს ეხლა ისე, როგორც ყოველთვის. ჩვენ რამდენიმეთ ასეთ პრესის გავლენაში მოვექეცით. ჩვენი გაზეთები ისევ მისდევენ ძველ ბურჟუაზიულ ჩვეულებას არ უნდათ ახალ სოციალისტურ ნიადაგზე გადასვლა და ჩვენც ავტეხეთ ხმაურობა უფრო მეტად, ვიდრე თვით საგანი ამის ღირსი. კომუნისტებისათვის არსებითად, განსაკუთრებით 1917 წ. დაწყებული, მრავალ სერიოზულ მომენტების გადატანის შემდეგ, თვით გენუაც არ წარმოადგენს დიდ სირთულეს. არ მახსოვს ამის შესახებ არა მარტო ცენტრალურ კომიტეტში, არამედ თვით ჩვენ პარტიაში რომ თავი ეჩინოს რაიმე დავასა და უთანხმოებას. ეს ბუნებრივია, ვინაიდან კომუნისტური მოსაზრებით აქ სადაო არაფერია, თუნდაც მხედველობაში რომ მივიღოთ, მათში არსებული სხვადასხვაობანი. ვიმეორებ, მივდივართ გენუაში, როგორც ვაჭრები, რათა შევქმნათ ვაჭრობის განვითარებისათვის უკეთესი ფორმები, რაც უკვე დაიწყო კიდეც, რაც უკვე სწარმოებს, რაც, თუ მისი ძალით შეჩერება მოახერხა ვინმემ განსაზღვრული დროით, ბოლოს და ბოლოს ის მაინც განვითარდება.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა.

ამიტომ ვკმაყოფილდები გენუის საკითხზე ამ მოკლე მოხსენებით და გადავალ სხვა საკითხებზე, რომლებიც ჩემის აზრით მიმდინარე და მომავალ წლის უმთავრეს საკითხებათ უნდა ჩაითვალოს. ასე მგონია და ყოველ შემთხვევაში ასეთია ჩემი ჩვეულება რომ ც. კ. პოლიტიკურ მოხსენებაში უნდა ვილაპარაკო არა მარტო იმაზე, თუ რა იყო საანგარიშო წლის განმავლობაში, არამედ იმაზედაც თუ ამ წლის განმავლობაში არსებითად და ძირითადაც რა პოლიტიკური გაკვეთილები მივიღეთ, რათა მომავლისათვის ჩვენი პოლიტიკა სწორათ გამოვიხატოთ და მისგან რაიმე ვისწავლოთ. აქ უმთავრეს საკითხს რასაკვირველია ახალი ეკონომიური პოლიტიკა წარმოადგენს. გასულ წლის განმავლობაში დიდი და სერიოზული რამ მოვიპოვეთ, და ეს არც დიდათ საეჭვოა ჩემთვის მხოლოდ საქმე ისაა, რომ გაწეული მუშაობა სათანადოთ გამოვიყენოთ. ჩვენ ახალი ეკონომიური პოლიტიკის დარგში ამ წლის განმავლობაში ბევრი რამ ვისწავლეთ შემოწმება იმისი: ჭეშმარიტათ ვისწავლეთ რამე ჩვენ თუ არა და რამდენათ, გამოჩნდება შემდგომი მოღვაწეობის პროცესში.

დაკავშირება გლეხობასთან.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის განხილვის დროს საჭიროთ მიმაჩნია მხედველობაში იქმნას მიღებული შემდეგი სამი ძირითადი პუნქტი.

უპირველეს ყოვლისა ჩვენთვის ახალი ეკონომიური პოლიტიკა საყურადღებოა, როგორც შემოწმება იმისა, თუ როგორ ვეგუებით ჩვენ გლეხობის ეკონომიკას. ჩვენი რევოლიუციის განვითარების წინანდელ ხანებში, როდესაც მთელი ყურადღება და მთელი ძალღონე უმთავრესათ იქით იყო მიმართული, რომ მოგვეგერებია თავდასხმა, ჩვენ არ შეგვეძლო ამაზე სათანადოთ გვეფიქრა.

ახალ ეკონომიურ პოლიტიკისაკენ გადასვლა გადაწყდა წარსულ ყრილობაზე იშვიათი ერთსულოვნებით, კიდევ უფრო მეტი ერთსულოვნებით, ვიდრე სხვა საკითხები.

ამ ერთსულოვნებამ დაგვანახა, რომ აბსოლიტიურათაა მომწიფებული სოციალისტურ ეკონომიკასთან სხვანაირი მისვლის საჭიროება. ხალხნი, რომელნიც მრავალ საკითხებში ერთმანეთისაგან განსხვავდებიან და მდგომარეობას სხვა და სხვა თვალსაზრისით აფასებენ, ამ შემთხვევაში ერთსულოვნათ და უყოყმანოთ მივიდენ იმ დასკვნამდი, რომ ჩვენ მოკლებული ვიყავით სოციალისტურ ეკონომიკასთან ჭეშმარიტ მიდგომას და რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა ამ მიდგომის ერთად ერთი საშუალებაა სამხედრო და პოლიტიკურ ურთიერთობათა, ძველ კულტურულ დასავლეთში კაპიტალიზმის და კოლონიებში საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პირობების განვითარების გამო, ჩვენ მოგვიხდა პირველათ გაგვერღვია ძველი ბურჟუაზიული მეუფება და ისიც ისეთ მომენტში, როდესაც ჩვენი მხარე ეკონომიურათ თუ ძალზე ჩამორჩენილი არა, ერთი ჩამორჩენილთაგანს მაინც წარმოადგენდა. ჩვენში გლეხთა უდიდესი უმრავლესობა წვრილ ინდივიდუალურ მეურნეობას ეწევა, იმის აღმშენებლობა, რასაც ჩვენ ერთბაშათ ავაშენებდით დასახულ პროგრამით, რამდენიმეთ გლეხთა ფართო მასების საქმიანობისაგან დაშორებით მიმდინარეობდა. გლეხობას ჩვენ დავადევით მძიმე ბეგარა და ამას ვამართლებდით იმით რომ ვამბობდით, ომი ასეთ შემთხვევაში არაფითარ რყევასა და ყოყმანს არ იწყნარებს და ბევრის ასე გამართლება, საერთოდ ღებული გლეხობისაგან მიღებულ იქმნა. გლეხთა მასებმა დაინახა და შეიგნო, რომ მასზე დაკისრებული დიდი ბეგარა მიუცილებელი იყო იმისთვის რათა დაცულ ყოფილიყო მუშურ-გლეხური ხელისუფლება მემამულეთაგან, რათა კაპიტალისტთა თავდასხმით, რომელიც ემუქრებოდა რევოლიუციის მონაპოვარს ალგვით, არ შეგვედღლიყო. მაგრამ ეს დაკავშირება, ერთი მხრივ იმ ეკონომიკასთან რომელიც შენდებოდა ნაციონალიზაცია და სოციალიზაცია მოხდენილ ფაბრიკებში, ქარხნებში, სახ. მეურნეობებში და მეორე მხრივ გლეხთა ეკონომიკასთან არ იყო. ეს ჩვენ ნათლათ დავინახეთ პარტიის წარსულ ყრილობაზე. ესევე გარემოება იმდენათ ცხადი იყო, რომ პარტიისათვის სრულებით არ წარმოადგენდა საეჭვოს ახალი ეკონომიური პოლიტიკის მიუცილებლობა. გვეცინება, როდესაც ვკითხულობთ უცხოეთში არსებულ რუსულ პარტიათა პრესაში ცნობებს იმის შესახებ, რომ მემარცხენე კომუნისტები დღემდი ეწინააღმდეგებიან ახალ ეკონომიურ პოლიტიკასაო. იმათ 1921 წელს ის მოაგონდათ, რაც იყო 1918 წ. და რაც ჩვენში თვით მემარცხენე კომუნისტებმაც კარგახანია დაივიწყეს. დაუსრულებლათ ღეჭვენ ამას, დაუსრულებლათვე იკვეხებენ და არწმუნებენ ქვეყანას, რომ ბოლშევიკები თავის პარტიაში არსებულ განხეთქილებას ევროპის წინაშე მალავენო. როდესაც კითხულობ ამას ფიქრობ; დეე იყვნენ თავმოტყუილებაში. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენში არავითარი განხეთქილება არ ყოფილა და არ ყოფილა იმიტომ, რომ სოციალისტურ ეკონომიკასთან სხვანაირი პრაქტიკული მიდგომის მიუცილებლობა ყველასათვის ცხადი და ნათელი იყო.

ჩვენ იმ ახალ ეკონომიურ პოლიტიკაში, რომელსაც ვცდილობდით მაშინ შეგვექმნა, გლეხთა ეკონომიკასთან მჭიდროთ დაკავშირებას მოკლებული ვიყავით. გვაქვს თუ არა ის ახლა? არა, ჩვენ მხოლოდ მივდივართ აქეთკენ. ახალი ეკონომიური პოლიტიკის მთელი მნიშვნელობა, რასაც ჩვენს პრესაში კვლავ ხშირათ ეძებენ ყველგან, მაგრამ არა იქ, სადაც უნდა ეძიონ, სწორედ იმაშია, რომ გამონახოს იმ ახალ ეკონომიურ პოლიტიკაში, რომლის შესაქმნელათაც ჩვენ უდიდეს ძალღონეს ვხარჯავთ—ეს მჭიდრო დაკავშირება. ჩვენი დამსახურება აქაა, უამისოთ არც ვიქნებით რევოლიუციონერი კომუნისტები. ახალი ეკონომიური პოლიტიკის აღმშენებლობა ჩვენ დავიწყეთ სავსებით ახალ საშუალებით და ძველს ანგარიში არაფერში არ გავუწიეთ. მისი აღმშენებლობა რომ არ დაგვეწყო, მაშინ პირველ თვეებშივე დავმარცხდებოდით.

თავიდანვე ვამბობდით, რომ ჩვენ მოგვიხდება ისტორიაში ჯერ უმაგალითო ახალი საქმის კეთება და თუ ჩვენ არ დაგვეხმარება ჩვენზე უფრო მეტად განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოების მუშები, მაშინ საქმე ერთობ გაძნელდება, რის გამოც მოგვივა მთელი რიგი შეცდომები უმთავრესია შევეძლოს: თავის დროზე დავინახოთ სად რა შეცდომები დავუშვით და მასი სავსებით თავიდანვე გადაკეთება. თუ ორჯერ და უფრო მეტჯერ მოგვიხდა საქმის თავიდანვე დაწყება, ეს იმის მაჩვენებელი იქნება, რომ ჩვენ წინასწარი, ცრუმორწმუნოებრივ აზრის აუკვიატებლათ და ფხიზლათ ვუდგებით მსოფლიოს ამ უდიდეს ამოცანას. უნდა გვახსოვდეს უმთავრესი, გადამწყვეტი, დანარჩენი, რაც ემორჩილება აეპის ამოცანას ესაა იმ ახალ ეკონომიკისა, რომლის აშენებაც ავათ არის თუ კარგათ ჩვენ ახლა დავიწყეთ, და მილიონ გლეხთა მასებს შორის შეკავშირების დამყარება. ეს კავშირები არ იყო და უპირველეს ყოვლისა, ის ჩვენ უნდა შევქმნათ. ამ მოსაზრებას ყველაფერი უნდა დაუმორჩილოთ.

ჩვენ ვქმნით ჩვენს ეკონომიკას გლეხობასთან დაკავშირების გზით. ჩვენ ეს ეკონომიკა არა ერთხელ უნდა გადავაკეთოთ და უნდა მოვაწყოთ ისე, რომ სასოფლო მეურნეობასა და მსხვილ მრეწველობაში გაჩაღებულ ჩვენს სოციალისტურ საქმიანობასა და იმ საქმიანობასთან, რომელსაც ეწევა თვითეული გლეხი თავის შეძლებისდა გვარათ, იყვეს კავშირი. ჩვენს ამოცანას შეადგენს განვამტკიცოთ ეს კავშირი და მივაღწიოთ იმას, რომ გლეხთა მასებმა დაინახონ რომ მის დღევანდელ მძიმე უმაგალითოდ დაშლილ, დამათხოვრებულ და გატანჯულ ცხოვრებასა და იმ მუშაობას შორის, რომელიც სწარმოებს შორეულ სოციალისტურ იდეალებისათვის, არსებობს კავშირი ჩვენი მუშაობა მას შველის, მისთვის, როგორც უბრალო მშრომელისათვის გასაგებია იმან თუ რაიმე გაუმჯობესებას მიაღწია და მიაღწია არა ისე როგორც ამას რამდენიმე გლეხი მემამულეთა ბატონობის ხანაში ახწევდა, როდესაც გაუმჯობესებისაკენ გადადგმული ყოველი ნაბიჯი ნამდვილათ წარმოადგენდა გაუმჯობესებას და დიდსაც მაგრამ იყო დაკავშირებული მისი ინტერესების აბუჩად აგდებასთან, შეურაცხყოფასთან დაცემასთან და მასების მიმართ ჩადენილ ძალმომრეობასთან, რაც გლეხობაში არავის არ დავიწყებია და რასაც ათეულ წლებშიაც არ დაივიწყებენ. ჩვენი მიზანია დავამყაროთ გლეხობასთან ახლა ისეთი კავშირი რომ მას ვუჩვენოთ საქმით, რომ ჩვენ საქმეს იქიდან ვიწყებთ რაც მისთვის მიუხედავათ მისი სიღარიბისა, გასაგები და ნაცნობია. რომ ჩვენ შეგვიძლია მას დავეხმაროთ და რომ კომუნიზმი ნიშნავს გაპარტახებულ, განადგურებულ და დამშეულ წვრილ გლეხობისათვის ნამდვილ დახმარებას. ან ჩვენ ამას ვაჩვენებთ მას ან ის ჩვენგან ეშმაკებთან წავა—ეს უშუალოთ ასე იქნება.

აი რაშია აეპის მნიშვნელობა, აი რაა, ყველაფრის საფუძველი, და ეს გარემოება განვლილ წელს ახალ ეკონომიურ პოლიტიკის განხორციელების სფეროში უმთავრესი გაკვეთილი იყო და ასე რომ ვსთქვათ უმთავრეს ის ერთგვარ პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენს მომავალ წლისათვისაც.

ჩვენ აქ გლეხი ღლვეჭურავს ნდობით და იმის შემდეგ, რაც მას თავს გადახდა არც შეიძლება რომ ის ასე არ მოიქცეს. მაგრამ ეს ნდობა არც მთლად დაულეველი იქნება.

ეს უნდა ვიცოდეთ და ნდობაც რომ მივიღოთ მაინც წინმსვლელობისკენ უნდა ვისწრაფოთ. აი როგორი გამოცდა მოგველის ჩვენ და ის გადასწყვეტს ბოლოს და ბოლოს ევროპისა და რუსეთში კომუნისტური ხელისუფლების ბედს.

მაგრამ ამ ჟამად გვაინტერესებს ჩვენ არა ისტორიული თვალსაზრისით, არამედ ჩვენი პირდაპირი საქმე შევიძლებთ თუ არა მის აეპის განხორციელების მოსრულებას? გამოგვადგება თუ არა რაიმეში აეპა და სწორი გამოდგება თუ არა უკან დახევა? დღეს გლეხთა მასებთან ერთად უკან დახეულები შევიძლებთ თუ არა შემდეგ ამავე მასებთან ერთად ასჯერ უფრო ნელა, მაგრამ მტკიცეთ, წავიდეთ წინ მიუხვევ მოუხვევლათ და ისე, რომ გლეხობამ ყოველ წამს დაინახოს, ჩვენი ავათ თუ კარგათ წინმსვლელობა? თუ კი, მაშინ ჩვენ აბსოლუტურათ გამარჯვებული გამოვალთ და ქვეყნიერობის ვერავითარი ძალა ვერ დაგვძლევს. პირველი წლის განმავლობაში ჩვენ ამას ვერ მივაღწიეთ. და მე ღრმათ მრწამს (და ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკა იძლევა ასეთი დასკვნის გამოტანის საბუთს) რომ თუ ჩვენ შევიგნებთ იმ უდიდეს საფრთხეს, რომელიც ჩაგროვილია აეპის ბუნებაში და თუ მივმართავთ მთელ ჩვენს ძალღონეს ამ მხრივ სუსტ ადგილებისაკენ, მაშინ ჩვენ ამ ამოცანას გადავწყვეტთ.

უნდა შევეუღლოთ გლეხთა მასებს მშრომელ გლეხთა რიგებს და უნდა შეუდგეთ წინსვლას განუზომლათ, ნელა, მაგრამ ისე კი, რომ მთელი მასა ჩვენთან ერთად მოძრაობდეს—ეს იმის ნიშნავს მივაღწიოთ იმას, რაზედაც ახლა ფიქრიც კი არ შეგვეძლია. ეს ჩემის აზრით აეპის მთავარი და პირველი პოლიტიკური გაკვეთილია.

(გაგრძელება იქნება)

ზომა ბრძოლისა უნდა შეტანილ იქმნას სახელმწიფო მიმდინარე საქმეების წრეში და შეძლებისდაგვარად ნელნელა განხორციელდეს, მაგრამ არის მეორე პროფილაქტიური ზომა, რომლის დაყენება შეუძლებელი არის ქინა ქინით დატვირთვა სამალარიო რაიონებისა. ამ მხრივ უნდა წარმოებდეს მუშაობა ქინა ქინით ექიმობას უნდა ბლომათ ქინა-ქინა, რომლის შეძენისათვის მთავრობამ უნდა გადაზიდოს დიდი თანხა. ამას მოითხოვს სახელმწიფო ინტერესები, რომლის მთავრობა უპირველესად ზრუნავს მცხოვრებთა და არმიაზე.

შარშანდელი ცუდ ცხელება უნდა აფრთხილებდეს მთავრობებს ამიერ კავკასიის რესპუბლიკებისა და უკარნახებდეს, რომ მიიღონ ფართო ზომები დასაცველად ამ საშინელ სენიდან სახელოვან არმიას და მშრომელ ხალხისა. ამ მხრივ ამიერ კავკასიის რესპუბლიკები დიდი პასუხის მგებელნი არიან არმიის და მშრომელ ხალხის წინაშე.

საქართველოს სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატმა ითავა შეკრება ამიერ-კავკასიის კომიტეტის მალარიასთან საბრძოლველათ. ამ კომიტეტს, რომელიც შესდგება ამიერკავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლებისაგან ევალება მძიმე და რთული საკითხები.

1) გაერთიანება მთელი არსებულ გაცალკევებულ ორგანოებისა და დაწესებულებებთა, რომლებიც აწარმოებენ ბრძოლას მალარიასთან ამიერკავკასიის საზღვრებში ერთ ფრონტათ მალარიასთან საბრძოლველათ.

2) შეიქმნას ერთი ამიერ-კავკასიის ცენტრალური მალარიის საწინააღმდეგო სამეცნიერო ორგანო ხსენებულ კომიტეტთან.

3) გამოიძებნოს საჭირო საშვალება ქინა ქინის შესაძენათ და სხვა ზომებისათვის და აგრეთვე თანასწორათ განაწილდეს ეს საშვალებები არსებულ დაწესებულებებთა შორის, რომლებიც ებრძვიან მალარიასთან ბრძოლას ადგილობრივ.

ამ საკითხთა სწორი გადაწყვეტაზე ა დამოკიდებული ბედი მრავალთა წითელ არმიელთა და მშრომელ მასისა.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სასანიტარო საეპიდემიო განყოფ. გამგე ექიმი **ნაზარეტიანცი.**

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ქუთაისის მაზრა.

ქუთაისი, 9 აპრილი. შიმშილი.

1 იანვრიდან გამოცხადებულია დამშეულად შემდეგი მაზრები: შორაპნის, რაჭის და ლეჩხუმის. 1 ლ აპრილიდან გამოცხადდა დამშეულად ქუთაისის მაზრაც.

ადგილობრივი დამშეულთა დამხმარე კომიტეტები მუშაობენ ენერგიულად. შიმშილობასთან ბრძოლაში ენერგიულ საქმიანობას იჩენენ პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

მ. წის პროგრამმა. ადგილობრივი გლეხები დიდი ინტერესით ადევნებს თვალს მ წის პროგრამის გატარებას. მართალია მიმდინარე ზაფხული ხელს უშლის პროგრამის სავსებით გატარებას, მაგრამ მიწადმოქმედების კომიტეტის მუშაობაში ეჩნევა დიდი გამოცდილება შედარებით წარსულ წელთან. საგრძნობლად გაუმჯობესებულია სარწყავ არხების გაყვანის საქმე და თუ ცენტრი გაუწევს მატერიალურ და ტეხნიკურ დახმარებას ახლავე შეგვიძლია ველოდეთ დიდ დადებით შედეგებს.

წვიმებმა და ჯვალვამ თუ ხელი არ შეუშალა ამა წლის სათეს კომპანიამ უნდა მოგვცეს გაცილებით მეტი მოსავალი გასრულ წლებზე. გლეხობის უმეტესობამ უკვე დათესა ხორბალი სათეს მასალას გლეხობა ეპყრობა ძლიერ სიფრთხილით. ეს მათთვის ხელშეუხებელი ფონდია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ხშირია შემთხვევა, როცა გლეხი ოჯახისათვის ყიდულობს სიმინდს, მაშინ როცა მას მოეპოვება გასული წლის სათესად გადარჩეული სიმინდის მარაგი. როგორც არ უნდა შიოდეს, ამ სიმინდს ის ხელს არ ახლებს. ეს არის იმის მომასწავებელი, რომ ის დასთესავს ყანას, მაგრამ სანამდე დათესილი ხორბალი ამოვიდოდეს ივნისის მეორე ნახევრამდე—საჭიროა აღმოუჩინოთ დახმარება სურსათის მხრივ.

დუშეთის მაზრა

ახალი გორი. 9 აპრილი. სალამი ამხ. ფ. მახარაძეს. ახალი გორის თემის 9 სოფლების წარმომადგენლებმა გაუგზავნეს მისასალმებელი დეპეშა ამხ. ფ. მახარაძეს, რომელშიაც უძღვნიან რევოლიუციის თავდადებულ წინამძღოლს, ბრძენ ხელმძღვანელს მიწის პოლიტიკისა საბჭოთა საქართველოში, თავიანთ მხურვალე სალამს, ახალ გორის ჭალის დანაწილების ნების დართვისათვის, უმიწო წყლო გლეხობას შორის რითაც ეძლევათ საშუალება არსებობისა და სოფლის მეურნეობის აყვავებით. დეპეშის ბოლოში აღნიშნულია: „გამოვსთქვამთ რა უაღრეს გრძნობას სიხარულისა, ამავე დროს ვძლევთ გლეხურ რევოლიუციონერ სიტყვას, რომ ჩვენ ყოველ გვარ დახმარებას გაგიწევთ თქვენ დიად ცდაში მიწის სოციალიზაციისა და ოქტომბრის დიადი რევოლიუციის მონაპოვართა განმტკიცებაში. სამარის კარამდე გვექნება გულში თქვენი ხსოვნა როგორც ქართველ გლეხობის მამის და ასევე ჩვენ შვილებს დიდის ძეძუსთან ერთად“

ბორჯომი.

წითელი ახალგაზრდობის ძეგლი. ბორჯომის რაიონის ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის წევრთა შორის წარმოიშვა აზრი ბორჯომში წითელ ახალგაზრდობის ძეგლის აგებისა. რაიკომმა ადგილობრივ ორგანოებს მიმართა თხოვნით დართონ ნება ერთი სპილენძის ზარბაზანის გადაცემისა, რომელიც იმყოფება რუმმერტოვის პარკში ძეგლის ფიგურისათვის. ადგილობრივმა ორგანოებმა მისცენ ამაზედ პრინციპიალური თანხმობა.

სიღნაღის მაზრა

სიღნაღი. 1 აპრილი სახალხო სახლი 27 მარტს სოფელ ჯიმიტში მოხდა საზეიმო გახსნა სახალხო სახლის თეატრის, რომელიც პირველია სიღნაღის მაზრაში. თეატრის შენებაში ენერგიული მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა მუშებმა და გლეხებმა პირადი შრომით და მასალების მოზიდვით. თეატრი იტევს 200 კაცს და მორთულია სასცენო დეკორაციებით გახსნისათვის მომზადებული იქნა ადგილობრივ სკოლის მოწაფეების მიერ წარმოდგენა. საზოგადოება აღფრთოვანებით შეხვდა მოთამაშეებს, თეატრის გახსნის გამო აღმშენებელ მუშებისათვის გამართული იქნა სადილი. სიღნაღიდან მოსულმა ამხ. შალვაშვილმა, სამაზრო სასურსათო კომიტეტის წევრმა, რომელმაც აღნიშნა თავის სიტყვაში მნიშვნელობა ამ კულტურულ დღესასწაულის და მაუთითა მაზე, თუ როგორ ყოველ ლონის ძიებას ხმარობს საბჭოთა მთავრობა ახალი მოზარდი თაობის განათლებისათვის.

აჭარა

ბათუმის საბჭოს საზეიმო სხდომა. 4 აპრილს შესდგა ბათუმის საბჭოს საზეიმო სხდომა პროლეტარული ორგანიზაციების და წითელ არმიელების ნაწილების წარმომადგენლების მონაწილეობით დაესწრნენ საპატიო სტუმრები: ამხ. ამხ. ფ. მახარაძე, შ. ელიავა, პავლოვსკი, ეგოროვი და ლისოვსკი. ამხ ფ. მახარაძის სიტყვას საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ ისმენენ დიდის ყურადღებით. ორატორის სიტყვები იმის შესახებ რომ კაპიტალისტების ერთიან ფრონტს საბჭოთა რესპუბლიკები დაუპირდაპირებენ ერთიან პროლეტარულ ფრონტს—გენუაში მათი დელეგაციის დასაყრდენს—იფარება მთელი დარბაზის მქუხარე ტაშით. ამხ. პავლოვსკის, ჯარის უფროსის ამხ. ეგოროვის და ამხ. ელიავას სიტყვების შემდეგ, რომლებმაც აღნიშნეს, რომ გენუაში საბჭოთა დელეგაციის დასაცავად, ჩვენ უნდა ვიყოთ მზათ კონფერენციის ყოველ გადაწყვეტილებისათვის, კრება ერთხმად ღებულობს რეზოლიუციას, რომელშიაც ბათომის პროლეტარიატი ფიცს სდებს, დაიცვას შავი ზღვის ნაპირები კაპიტალისტების თავდასხმისაგან.

აზერბაიჯანი

დიპლომატიური კორპუსის სხდომა. შესდგა მორიგი სხდომა დიპლომატიურ კორპუსის. დაესწრნენ წარმომადგენლები რ. ს. ფ. ს. რ. ა. ს. ს. რ. სპარსეთის, ოსმალეთის, იტალიის, გერმანიის, ბელგიის, შვეიცარიის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის და სხვები. მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა გენუის კონფერენციის საკითხზე. დიპლომატიური საკონსულოს უხუცესმა წარმომადგენელ. სპარსეთის მამედ ხანმა, რომელიც თავმჯდომარეობდა კრებას, აღნიშნა ის უმთავრესი როლი, რომელიც ითამაშა რუსეთის რევოლიუციამ აღმოსავლეთში, დასავლეთის იმპერიალისტებისაგან დაჩაგრულ ერების განთავისუფლების საქმეში. აღმოსავლეთის წარმომადგენლები მიესალმნენ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელს კუზნეცოვს, რომელსაც აღუთქვეს შეურყეველი მეგობრობა და ასრულება რუსეთის საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკასთან და ამიერ კავკასიის ფედერ. საბჭ. ს. რესპუბლიკებთან დადებულ ხელშეკრულებებისა.

ამხ კუზნეცოვმა გამოსთქვა კმაყოფილება ასეთი ერთსულოვანი და ღირსეული დაფასების გამო საბჭოთა რესპუბლიკის პოლიტიკისა და აღნიშნა, რომ მისწრაფება ყველა ქვეყნის მშრომელთა კაპიტალიზმის ჩაგვრისაგან განთავისუფლებისა გამოგვიყვანს მსოფლიო ეკონომიურ ნგრევისაგან იტალიამ, გერმანიამ და სხვა სახელმწიფოებმა, რომლებმაც შეკრეს ხელშეკრულება საბჭოთა მთავრობასთან სწორად და დროულად შეაფასეს საერთო სარგებლიანობის მომენტი.

სავალიუტო საქონელი. სახალხო კომისართა საბჭომ აღ. საბჭ. სოც. რესპუბლიკისა დაადგინა, სავალიუტო საქონელი იქმნას აკრეფილი დაწესებულებებიდან, რომლებიც გადავიდნენ სამეურნეო ანგარიშზე და გადაეცეს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს.

განჯის საბჭოთა ყრილობა

განჯა. 4 აპრილი, (სატელეგრაფო ცნობა). 1 აპრილს გაიხსნა განჯის საბჭოთა ყრილობა დაესწრნენ 150-ზე მეტი დელეგატი და წითელი ლაშქრის წარმომადგენლები უკანასკნელთ ყრილობა ესალმება განსაკუთრებული აღფრთოვანებით. აღმასკომის მოხსენების შესახებ მოხდა ცხარე კამათი, რომელიც ატარებდა საქმიანობის ხასიათს: შეტანილ იქნა მთელი რიგი შესწორებისა, როგორც გასულ ისე მომავალ სამუშაო გეგმებში. ყრილობა გულდასმით ეპყრობა კულტურულ განმანათლებელ ორგანოების მუშაობას, აქცევს რა უმთავრეს ყურადღებას გლეხების განვითარების საკითხს. სასოფლო მეურნეობის საკითხმა მიიპყრო მთელი ყრილობის ყურადღება. ყრილობის მუშაობა ატარებს ჯანსაღ და საქმიანობის ელფერს. ყრილობის შემადგენლობას შეადგენენ მხოლოდ ღარიბთა წრეები.

ბაქო. 9 აპრილი, (რადიო). კონტრ-რევოლიუციონური შეთქმულების აღმოჩენა ღამით 7 და 8 აპრილს აზერბეიჯანის საგანგებო კომისიის მიერ აღმოჩენილ მასალების მიხედვით მოხდა დაპატიმრება ახალ კონტრ რევოლიუციონურ შეთქმულებების. გამოჩენილ და აქტიურ მონაწილეთა: გაჩხრეკის შემდეგ აღმოჩენილ იქნა აუარებელი მასალები, რომელიც ახასიათებს მოღალატურ მუშაობას მუსავატების, დაშნაკების, მენშევიკებისა და ესერების. ახლო მომავალში ეს მასალები იქნება გამოქვეყნებული გაზეთებში, რათა მშრომელთა მასსისთვის თვალსაჩინოთ გახდეს მათი კონტრ რევოლიუციონური საქმიანობა.

მეაბრეშუმეობა. აზერბეიჯანის აბრეშუმის მწარმოებელ ა გამგეობამ მიიღო საგარეო ვაჭრობის გაერთიანებულ კომისარიატისაგან 22,000 კოლოფი აბრეშუმის თესლი, წინათ მიღებულ 4,000 კოლოფის დამატებით საქსოვ მრეწველობის მთავარი მმართველობიდგან მიღებულ 4,500 კოლ. ერთად აზერბეიჯანის საბრეშუმო წარმოების გამგეობას აქვს ამ ჟამად 30,500 კოლ. საზღვარ გარეთის თესლი. რომელიც განაწილებულია მაზრების მიხედვით. შეუდგენ თესლის მეაბრეშუმეთათვის დარიგებას

ვენახის აღდგენა. შემახის, გეოკჩაის და შუშის რაიონებში ვენახის მოედანი, რომელიც ნაყოფს იძლეოდა, 4 წლის განმავლობაში შემცირდ 10,000-გან 7,000 დესეტინამდე 1917 წ. წლამდის ითვლებოდა 30,000 დესეტ. ვენახი, რომელიც იძლეოდა ნაყოფს, ეხლა კი ეს მოედანი შემცირდა 25,500 დესეტ. ვენახის აღდგენა კიდევ შესაძლებელია დაზარალებულ რაიონების მცხოვრებთათვის ნერგების, დასამუშავებელ იარაღების და საწამლო საშუალებების მიწოდებით, რომლისთვისაც მიღებულია სასწრაფო ზომები

სომხეთი.

ერევანი. 8 აპრილი. შტატების შემცირების გამო. შტატების შემცირების მიზნით გადაწყვეტილია გაერთიანებულ იქნას სასურსათო სახალხო კომისარიატი და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო და ამ რიგად შექმნან ერთიანი კომისარიატი ვაჭრობისა და მრეწველობის. საკითხი მიწად-მოქმედების კომისარიატის ვაჭრობა მრეწველობის კომისარიატთან შეერთებაზე მიწად-მოქმედების დამოუკიდებელ განყოფილების სახით, უარყოფილ იქნა.

ერევანი. 10 აპრ. (რადიო). საბავშო სახლები. საბავშო სახლების განათლების კომისარიატის განკარგულებაში გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარავად, სახალხო კომისართა საბჭო უახლოეს დღეებში მისცემს განათლების კომისარიატს 500 მილიონ მანეთს სომხური ფული ნიშნებით.

ლტოლვილების მოთავსება. შინასაქმეთა სახალხო კომისარიატი სასწრაფოდ ადგენს დებულებებს ლტოლვილების მიღების და ბინებზე მოთავსების შესახებ. ახალი წესების გამომუშავებამდე, ლტოლვილების მიღების და ბინებზე მოთავსების საქმეს განაგრძობს საუწყებათაშორისო კომისია, რომელიც თავის ხარჯების ანგარიშს უდგენს ეკონომიურ თათბირს.

დასავლეთ სომეხთა ყრილობა. 9 აპრილს შესდგა საზეიმო გახსნა დასავლეთ სომხების ყრილობისა. ყრილობაზე ჩამოვიდნენ საქართველოს და აზერბეიჯანის სხვა და სხვა ქალაქებიდან და სომხეთის მაზრებიდან 90 დეპუტატი. გახსნას დაესწრნენ სახალხო კომისრები, მისიების, ამერიკული კომიტეტის და სხვა დაწესებულების წარმომადგენელნი. სხდომა გაიხსნა დასავლეთ სომხეთის ბიუროს წარმომადგენელების ვართანიან და აზოთ ოვანესიანის სიტყვებით. გამოვიდნენ სიტყვებით ამხ. მიასნიკოვი და გრავიანი პირველ სხდომაზე მოხდა პრეზიდიუმის, სეკრეტარიატის და სამანდატო კომისიის არჩევნები; მიღებულია ყრილობის რეგლამენტი.

შკოლების საქმე მეგრინის რაიონიდან იტყობინებიან. რომ შკოლების საქმე იქ დაყენებულია შედარებით კარგად. 16 სოფლიდან 13-ში გახსნილია შკოლები. სწავლობენ მათში ორთავე სქესის 800 ბავშვზე მეტი, მუშაობენ 23 შკოლის მუშაკნი.

მეგრინის რაიონში. მეგრინის რაიონში ითვლება 16 სომხური სოფელი 6000 სულით დასახლებული. ამ სოფლებს გარდა იქ კიდევ 9 თათრული სოფელი, რომლებიც განადგურებულ იქნენ ურთიერთ შეტაკებების დროს, და ეხლა მის აღდგენას შეუდგინ იქ ძლიერ მცირე რიცხვით დარჩენილი მცხოვრებლები და დაბრუნებული სოფლელები. რაიონი, რომელიც წარმოადგენს ვიწრო მთიან უღელტეხილს, განიცდის მიწის ძლიერ სიმცირეს. საშუალოდ ოჯახზე უწევს არა უმეტეს 1 ნახევარ დესიატინა სახნავი მიწისა, და ამ სოფლებში კი, სადაც მცხოვრებლები ისდევენ ბაღის მოშენებას—არა უმეტეს 5 ნახევარ დესიატინისა. სასურსათო საქმე კრიტიკულ მდგომარეობაშია მცხოვრებლებს ძლიერ ესაჭიროებათ პური. ზოგიერთ პუნქტებში სჭამენ თესლს. ცენტრთან კავშირი სუსტია, კორესპოდენცია მოდის დიდი დაგვიანებით. მოსამსახურეების მდგომარეობა მძიმეა; ულუფის და ჯამაგირის მიღება არა რეგულიარულია.

პარტიზანების წინამძღოლის სიკვდილი

იაკუტ ოხოტსკის მხარის შორეულ ჩრდილოეთში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში, ღამით 5 მარტს, 1922 წ., დაეცა გმირული სიკვდილით ციმბირის და შორეულ-აღმოსავლეთის პარტიზანების მეთაური, კოლჩაკსა და ატამან სემიონოვთან ჩვენი ძლევამოსილი ბრძოლის ერთი გმირთაგანი —ამხ. ნესტორ ალექსანდრეს ძე კალანდარაშვილი.

ამხ. კალანდარაშვილი დაიბადა საქართველოში ჯერ კიდევ სკოლის სკამიდან სამუდამოდ იქმნა გადასახლებული რევოლიუციონურ მოღვაწეობისათვის ირკუტსკის გუბერნიაში.

1905 წლიდან და, განსაკუთრებით, 1917 წლიდან ამხ. კალანდარაშვილი, იღებს მუდმივ აქტიურ მონაწილეობას არალეგალურ ბოლშევიკურ ორგანიზაციების რევოლიუციონურ ბრძოლაში.

1917 წლის ოქტომბერში ნ. ა. კალანდარაშვილმა, ერთი მუჭა ბოლშევიკებთან ერთად, შეადგინა „ერთიანი საბჭო“, ხოლო 9 ოქტომბერს უკვე იბრძვის ირკუტსკში ბარიკადებზე ესერ იუნკერების აჯანყების წინააღმდეგ.

1920 წ, როცა კოლჩაკის ხელისუფლება დაემხო, ნ. ა. კალანდარაშვილი მიეშურება თავისი პარტიზანებით ახალ, იაპონელებ სემიონოველების ფრონტზე. სადგურ „პეტროვსკი ზავოდ“ (ზემო უდინსკის აღმოსავლეთით 150 ვერ), შემდეგ სადგ. მაგზონ და გონგოტა—120—150 ვერსზე ჩიტას დასავლეთით, ის თავის მეომრების გვამებით იფარავს ჩვენს, იაპონელების და სემიონოველების მიერ გარღვეულ ფრონტს.

ამ ბრძოლებში მძიმედ დაჭრილი, კალანდარაშვილი დროებით შორდება ფრონტს. 1921 წლის ზამთარში ის ისევ იბრძვის თეთრ ბანდიტების წინააღმდეგ, რომლებიც შემოიჭრნენ ოხოტსკი იაკუტსკის მხარეში. 5 მარტს შეწყდა მისი სიცოცხლე.

რ. კ. პ. ციმბირის ოლქის მე 6 კონფერენციამ, მიიღო რა 8 მარტს ცნობა ნ. ა კალანდარაშვილის სიკვდილის შესახებ, გაუგზავნა ჩრდილეთის რაზმებს იაკუტსკის რესპუბლიკაში დეპეშა, რომელშიაც გამოსთქვამს თავის ღრმა მწუხარებას, „თუ მოკლულია რაზმის ძველი მეთაური, ნათქვამია დეპეშაში, მისი ხსენება არასოდეს არ მოკვდება და იქნება გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი, საბჭოთა ხელისუფლებისა და ხალხთა ძმობისათვის ბრძოლაში“.

ქრონიკა

✦ **სააღდგომო უქმეები.** შრომის სახ. კომისარიატის განკარგულებით აღდგომის პირველი და მეორე დღე 16 და 17 აპრილი უქმე დღეთ არის აღიარებული ხოლო შაბათს 15 აპრილს ყველა წარმოება-დაწესებულებებში მუშაობა ყველასთვის 12 საათზე წყდება. დღეს და ხვალ ე. ი. 13 და 14 აპრილი ებრაელთათვის უქმე დღეებათ არის აღიარებული.

✦ **სავაჭრო-სამრეწველო შენობათა აღწერა.** 10 აპრილს თბილისის ქალაქის აღმასკომის სტატისტიკურმა განყოფილებამ დაასრულა ქალაქის ყველა სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებათა და მათ შენობათა აღწერა, შენობათა სივრცის გაზომით და დაწესებულებათა მუშაობის მიხედვით დანაწილებით. სწორი ჯამი ყველა სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებათა ჯერ არ არის გამორკვეული, ნაანგარიშევია ჯერ 8 000 მეტი, მაგრამ მათი საერთო რიცხვი 10,000-მდე აღწევს.

✦ **სააფთიაქო კურსები.** ფარმაცევტების მოსამზადებელ სამ თვიან კურსებზე ირიცხება სულ 43 მსმენელი, მათგან 23 თბილისელია. და 20 სხვა ქალაქებიდან. ქალები არის 18, ვაცები 25, ქართველები—32, ებრაელი 4, სომეხი და გერმანელი—სამსამი, პოლონელი 1. ყველა მსმენელი არის აფთიაქის მოწაფე სამი წლის პრაქტიკით.

✦ **მუშათა სოციალური დაზღვევა.** შრომის კომისარიატში მუშავდება ახალ დეკრეტის პროექტი, რომლის ძალითაც სავალდებულოა დაზღვევა არა მარტო წარმოებებში და დაწესებულებებში მომუშავეთა, არამედ სახლში მომუშავე პირთაც. ამავე პროექტში შეტანილი იქნება დებულება ინვალიდების შრომის დაზღვევის შესახებ.

✦ **პასუხისმგებლობა გამორიცხულ პროცენტების გადაუხდელობისათვის.** შრომის კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც არ შეიტანენ დაზღვევის ფონდში განსაზღვრულ პროცენტების, მიმართონ ადმინისტრატიულ ზომებს ჯარიმის და გამორიცხვის დადებით.

✦ **საპასუხისმგებლო შრომის სექცია.** აღმრიცხავ განყოფილებას დაევალა მოაწყოს საპასუხისმგებლო შრომის სექცია.

✦ **უმუშევართა დაზღვევა ავადმყოფობის შემთხვევებში.** შრომის ბირჟის კოლეგიამ საჭიროდ ცნო არა, რომ დაზღვევის ყველა სახეები ვრცელდებოდეს უმუშევრებზედაც თანასწორად მუშა-მოსამსახურეებისა. ასეთ დაზღვევისათვის დაადგინეს გამორიცხონ უმუშევართა საერთო ფონდიდან 3 პროც., და აგრეთვე ფონდის ყველა შემთხვევითი შემოსავლიდან.

✦ **დაწესებულებათა ავადმყოფ თანამშრომლების ჯამაგირი** საფონდო კომისია თხოვს შრომის კომისარიატს დაუგზავნოს ცირკულიარი ყველა სახალხო კომისარიატებს, დაწესებულებებს და ორგანიზაციებს იმის შესახებ, რომ თანამშრომლებმა ავადმყოფობის მთელი ხნის განმავლობაში უნდა მიიღონ ჯამაგირი მხოლოდ დამზღვევი კასის საშუალებით, დაწესებულებებს კი არ აქვთ უფლება მისცენ მათ ჯამაგირი. დამზღვევმა კასამ ყოველთვიურად უნდა მიაწოდოს ცნობები საფონდო კომისიას სახალხო კომისარიატების შესახებ თუ ვის მისცეს მათ ჯამაგირი. სახალხო კომისარიატები, ცენტრალური დაწესებულებანი და ორგანიზაციები ვალდებული არიან მოაწოდონ ცნობები საფონდო კომისიას იმ ჯამის შესახებ, რომელიც დაუჭირეს ავადმყოფ თანამშრომლებს.

✦ **მალარიასთან ბრძოლა.** თბილისის ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმმა მოისმინა რა მოხსენება ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგისა ვაკეში და საბურთალოზე მალარიასთან ბრძოლის ზომების შესახებ, დაადგინა: მალარიასთან ბრძოლის საქმე ცნობილ იქნას სახელმწიფო დაწესებულებების საქმეთ და ითხოვონ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატიდან ქინის მიცემა ქალაქის ამ განაპირა ადგილების მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად. საფინანსო საბიუჯეტო კომისიას მიენდო გამონახოს საშუალებანი მალარიასთან ბრძოლისათვის, რისთვისაც საჭიროა 400000000 მანეთი 8 თვის განმავლობაში კომუნალურ მეურნეობის სანიტარულ სამშენებლო ტეხნიკურ ქვეგანყოფილებას წინადადება მიეცა მოაწყოს კომისია, გიდრო ამშენებლობით ქვეგანყოფილების და ჯანმრთელობის განყოფილების წარმომადგენლებისაგან, საბურთალოში მალარიის დაზიანებულ ადგილების გამოსარკვევად და მასთან ბრძოლის ზომების შესახებ მოხსენების გამოსამუშავებლად.

✦ **ყაჩაღობა.** 9 აპრილს ღამის 10 საათს სადგურ ნავთლუღიდან ქალაქში მომავალ სავარეჯოს რაიონის ვეტერინარულ ექიმს ნ. ლეონიძეს და მის თანამგზავრ გლეხს ყოფილ „ნოვოკოლონიის“ ყაზარმების ახლოს თავს დაესხნენ 6 მძარცველი, რომლებმაც ორთავე მგზავრებს სცემეს და ამხ ლეონიძე დანით ორ ადგილას დასჭრეს, ერთი ჭრილობა ღრმა არის, დაზიანებულია მარცხენა ფილტვი ლეონიძის და მისი მგზავრის გაცარცვას მცარცველებმა ვერ მოასწრეს, რადგანაც ატეხილ განგაშზე მოუსწრეს მილიციონერებმა, რომლებმაც მოახერხეს 2 მცარცველთაგანის დაჭერა; დაკავებულთა ვინაობას არკვევენ. დაჭრილი ლეონიძე მიყვანილია ქალაქის არამიანცის სახელობის საავადმყოფოში.

✦ **სასკოლო ასაკამდის სწავლა აღზრდის კურსები 1 პროფესიისათვის** დამთავრდა მეცადინეობა ც. კ. ინსტიტუტთან არსებულ სასწავლო ასაკამდის სწავლა-აღზრდის კურსებზე—და 6 აპრილს მოხდა ხსენებულ კურსების მსმენელი ქალების პირველი გამოშვება. სულ დაამთავრა კურსები 26 მსმენელმა, აქედან 18 ნამდვილი მსმენელია, ხოლო 8 თავისუფალი მსმენელი, რომელთაც შეასრულეს სასწავლო გეგმის ყველა მოთხოვნილებანი. 7 აპრილის მსმენელთა პირველ გამოშვების აღსანიშნავად, ინსტიტუტის დარბაზში გაიმართა ამხანაგური ფინჯანი ჩაი. როგორც ოფიციალური წარმომადგენლები სახალხო განათლების კომისარიატისა დაესწრნენ სახალხო განათლების კომისარის მოადგილე ამხ. მარ. ორახელაშვილისა და სასკოლო ასაკამდის სწავლა აღზრდის განყოფილების გამგე ამხ. ჯაფარიძე. მსმენელთა ხელის სამუშაო ნამუშევარის გამოფენა სახალხო განათლების კომისარიატის წინადადების თანახმად გაგრძელებულ იქნა კიდევ ორი დღის ვადით.

ბრძოლა შიმშილობასთან

შემოვიდა საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტში დამშეულთა დასახმარებლად:

— მომარაგების სახკომიდან—300 არშინი ფლანელი და 36 ფ. სიმინდი

— ოზვნეშტორგიდან—10 ტომარა თეთრი ფქვილი.

— მიწათ მოქმედების სახალხო კომისარიატიდან—300 ვედრა ღვინო და 200 გირ ჩაი

— საქართველოს ძირითად ცხენოსან ლეგიონიდან 5 ფუთი. 27 გირ. და 78 მისხ ფხვნილი შაქარი.

— მე 7 ამერიკულ სასადილოს თანამშრომლებთაგან—კაკაო 2 გირ., ფქვილი 20 გირ. შაქარი 8 გირ. ბრინჯი 16 ნახ. გირ, ჩაი 1 გირ 10 ბანკა შეკუმშული (сгущонное) რძე და 2 ნაჭერი საპონი.

— ფრანგულ ლიცეის მასწავლებლთაგან და მოწაფეებისაგან—1 ფ. და 4 გირ. ფქვილი, ხორბალი 2 ნახ. გირ. ლობიო 26 და ერთი მეოთხედი გირ. კარტოფილი 0 ნახ. გირ. სიმინდი 10 გირვანქა. ბრინჯი ნახევარი გირ. სპიჩკა 10 კოლ. ერთი ბლუზა 2 ნაჭერი საპონი და 8.784.000 მან. ფულად, რომლიდანაც 1.346.000 მან. იყო საბჭოთა ბონებით.

ყველა ზემოდ ნახსენებ პირთ და დაწესებულებებს დამშეულთა დამხმარე კომიტეტი უცხადებს მადლობას.

სეირნობა და კონცერტი დამშეულთა სასარგებლოდ.

ორშაბათს, 17 აპრილს, საქართველოს ფოსტა ტელეგრაფის კავშირი საქართველოს დამშეულთა სასარგებლოთ სასახლის ბაღში (რუსთაველის ქუჩა) მართავს დიდ სეირნობას.

სეირნობა დაიწყება 4 საათიდან. სეირნობის შემდეგ [illegible] კონცერტი სახელმწიფო ოპერის საუკეთესო ძალების მონაწილეობით.

შესრულებულ იქნება თამარ წერეთლის მიერ ციგანთა რომანსები, ქართული ხორო შეასრულებს ნაციონალურ კოსტიუმში ქართულ სიმღერებს.

სეირნობის დროს დამსწრეთათვის იქნება გამართული ლოტარეია—ალეგრი, ილუმინაცია, მაზხალა და მოწყობილი რადიო-ტელეგრაფი, ტელეფონი, ფოსტა, ბენგალის ცეცხლი, განათებული შადრევანი და ბუფეტი საუკეთესო კახეთის ღვინით და სასმელებით.

ფ. ტ. კომისარიატი.

დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტისაგან.

საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტისადმი მოდის ცნობები, რომ სხვადასხვა დაწესებულებები და კერძო პირები მთავარ კომიტეტის ნებადაურთველად აწყობენ საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ წარმოდგენებს, საღამოებს, კონცერტებს, აგროვებენ შემოწირულებებს და სხ.

ამის შემდეგ ეკრძალებათ ყოველგვარ ასეთი საღამოების და შემოწირულებების შეკრიბვა მთავარ კომიტეტის მიერ წინასწარ ნება დაურთველად. ვინც აქამდე შეაგროვა სხვადასხვა სახით შემოწირულებები და ჯერ ანგარიში არ წარმოუდგენია, კომიტეტი წინადადებას აძლევს დაუყოვნებლივ წარმოადგინოს ასეთები მთავარ კომიტეტში.

თეატრი და ხელოვნება

— **ახალი კინო თეატრი** სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირმა შუამდგომლობა აღძრა განათლების კომისარიატის წინაშე, რათა ყოფილი არტისტიულ საზოგადოების საკონცერტო დარბაზი გადაეცეს კავშირს და იმავე კავშირის საშუალებათა გასაძლიერებლათ გაიხსნეს კინო თეატრი.

— **ხელოვანთა სასახლეში.** თანახმად განათლების კომისარის მანდატისა, ტიციან ტაბიძემ და ვახტანგ კოტეტიშვილმა გადასწერეს ყოფილი პროფ. ი. ჩერნხოვსკის ბიბლიოთეკა, რომელიც შეიცავს 2000 მდე მხატვრულ წიგნს, რომელიც მალე გადატანილი იქნება ხელოვნების სასახლეში სადაც ეწყობა ცენტრალური სახატვრო ბიბლიოთეკა.

— **წარმოდგენა და საღამო უმუშევართა სასარგებლოთ.** შრომის სახალხო კომისარიატის კომისია აწყობს 23 და 24 აპრილს ქალაქ თბილისის ყველა თეატრებსა და კლუბებში წარმოდგენებს, კონცერტებს და საღამოებს ქალაქ თბილისის უმუშევართა სასარგებლოთ.

— **ქართველ პოეტების პორტრეტები.** მხატვარი ქალი ვ. ლებედევა ხატავს ქართველ პოეტების პორტრეტებს ფანქარით. პოეტები აღებულია მასკებით, როგორც ვალოტონის მასკები

უცხოეთი

— **„ახალი რუსული წიგნი“.** ბერლინში გამოვიდა კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული ჟურნალი „ახალი რუსული წიგნი“, ჟურნალში სხვათაშორის მონაწილეობენ: ანდრეი ბელი ი. ერენბურგი და ა. რემიზოვი.

— **საღამო გერმანიაში რუსეთის დამშეულ ბავშთა სასარგებლოთ.** თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში ბერლინში, გერმანიის ახალგაზრდა მუშების კავშირმა გამართა რუსეთის დამშეულ ბავშთა სასარგებლოთ დიდი საღამო. მონაწილეობდნენ: ერისტრ ფრიდრიხ, ლიზა შარაევიჩ, ელტ ზაკ, მარტინ ზაკ და სხ. საღამოს შემდეგ გაიმართა ფართე შემოსავლიანი ლოტარეია.

კერძო მწარმოებელთა სამართალში მიცემა

პირველი ნაბიჯები. სახალხო სასამართლოს პირველი დროებითი სესია, შრომის დაცვის საქმეების შესახებ, უკვე დამთავრდა: სესიის ციფრებითი მასალა შემდეგნაირია:

სასამართლოში შემოვიდა სულ 53 საქმე შრომის დაცვის კანონების დარღვევის შესახებ ამათგან 8 დაუბრუნდა საქართველოს პროფკავშირთა შრომის დაცვის განყოფილებას, როგორც ისეთები, რომლენიც არ ექვემდებარებოდნენ სასამართლო უწყებას. 31 გაიგზავნა წინასწარ გამოძიებისათვის და 6 დაუყოვნებლივ იქნა განხილული.

წინასწარ გამოძიებლათ გაგზავნილ საქმეებიდან 12 სრულიად მოისპო სასამართლოს დადგენილების თანახმად, 14 გადმოვიდა სასამართლოში გასარჩევად, ხოლო 13 ისევ წინასწარ გამოძიების პროცესშია.

1 სესიაში განხილულ იქნა არსებითად 17 საქმე; ბრალდებულთა რიცხვი უდრის 23 კაცს. აქედან გამართლებულ იქნა 5 ბრალდებული 5 საქმეში, ხოლო გამტყუნებული 18 ბრალდებული 12 საქმის შესახებ.

დაჯარიმებით, გამასწორებელ სახლში დაპატიმრებაზე შეცვლით, დასჯილ იქნა 12 დამნაშავე—8 საქმეში, პირობით დასჯა მიესაჯა (გამასწორებელ სახლში დაპატიმრება) 6 დამნაშავეს 4 საქმეში

დადგენილებათა შინაარსი ასეთია: რუსეთისა და საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ ჯარიმა—81.000 მან. უმუშევართა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად (გადაეცა საქ პროფ კავშ. საბჭოს) 70 000 მან. სულ ჯარიმის საერთო რიცხვი შეადგენს 151,000 მანეთს.

ჯარიმის შეცვლა გამასწორებელ სახლში დაპატიმრებით მინიმალურათ ორი კვირისა და მაქსიმალურად 5 თვის ვადით.

პირობითი დასჯა—გამასწორებელ სახლში დაპატიმრება—მინიმალურად 2 კვირისა და მაქსიმალურად 2 თვის ვადით—სულ 5 თვით.

გარდა ამისა 4 შემთხვევაში დაკმაყოფილებულ იქნა სამოქალაქო სარჩელი მინიმალურად 50.000 მან. მაქსიმალურად 19.774.000 მან.

სოციალური შემადგენლობის მიხედვით დამნაშავეებში არიან: ვაჭარი—9, ხელოსანი—5 ინტელიგენტი—4.

განათლების მხრივ: უმაღლესი—1. საშუალო—3, წერა კითხვის მცოდნე—5, წერა კითხვის უცოდინარი 3.

პასუხისგებაში მიცემულ იქნენ შემდეგი წარმოების მეპატრონენი: ხორცის მეფუნე—1, კაფესი და სასადილოსი—2, სასადილოსი და ყავახანის—2, მეფურნე—1, მწვანილისა და ხილის—2, ფეხსაცმელების—1, საპა

რიკმახეროსი—1, ზეინკალი და მეჟესტე—2. ამ 12 წარმოებაში მუშა-მოსამსახურეთა რიცხვში არიან 40 სრულწლოვანი და 15 მცირეწლოვანი და ბავში.

მუშათა-კანონმდებლობის დარღვევის სახე, ხსენებულ დადგენილების მიხედვით შემდეგნაირია:

1. სრულწლოვანთა სამუშაო დროის 2 შემთხვევა.
2. მცირე წლოვანთა სამუშაო დრის 11 შემთხვ.
3. ტარიფებისა და გასამრჯელოსი 8 შემთხვ.
4. თავისი ნებით დათხოვნა 2 შემ.
5. მიღება გარეშე სამუშაო ძალის აღმრიც. კომ. 3 შემთხვ.
6. საკავშირო გადასახადის შეუტანლობა 6 შემთხვევა.

შრომის სახალხო კომისარიატში

უმუშევართა დაზღვევის საქმე კავშირებ შორის ნაწილდება შემდეგნაირათ: საბჭოთა მოსამსახურენი—60 კაცი, სურსათ სანოვავის 150 კაცი, სასმელების—80 კაცი, მეტალისტები—75, ტრანსპორტის—75, მქსოველები—60 კაცი, მეტყავენი—50 კაცი, მბეჭდავი—50 კაცი, სახალხო კავშირის — 20 კაცი, განათლებისა და ხელოვნების მუშაკთა—15 კაცი, მედიკო-სანიტარული—20 კაცი, მშენებლები და ხის მკეთებელნი—50 კაცი, მ წადმოქმედების კავშირის—15 კაცი და კომუნალური მეურნეობის—15 კაცი. სულ უმუშევრობისაგან დაზღვეულია 735 კაცი. თანახმად შრომის ბაზრის კოლეგიის დადგენილებისა უფლება, იმ პირთა სიაში შეტანა, რომელნიც დაზღვეულ უნდა იქნან მინიჭებული აქვთ თვითონ კავშირებს.

მუშა ძალის გადაყვანა.

რადგანაც უმუშევართა რიცხვი თან და თან იზრდება, და ვინაიდან შეუძლებელი ხდება ყველა უმუშევართ მიეცეთ სამუშაო, თანახმად უმუშევართა მრავალ გზის განცხადებისა მათი საქართველოს საზღვრებიდან გასვლის შესახებ, შრომის ბაზრის კოლეგიამ შუამდგომლობა აღძრა შრომის სახალხო კომისარიატის წინაშე მიეცეს მას სათანადო საშვალებანი მუშა ძალის გადაყვანისათვის.

საკვებ — ქიმიკურ-მრეწველობის ტრესტმა გადასდო ყოველთვიურათ უმუშევრობისგან დაზღვევისათვის 150 მილიონი მანეთი.

მკითხველის წერილები

პროვოკატორები სოფლათ

დღეს ჩვენი პროვინცია მოცულია სხვა და სხვა უცნაური პროვოკაციული ჭორებით. წვრილფეხა მენშევიკები, ცხოვრებისაგან უწუკეშოთ გარიყულნი დაძრწიან სოფელ სოფელ და თავიანთ ბნელ საქმეს ემსახურებიან, ჩვენი საწყალი გლეხკაცობის ზოგი შეუგნებელი ნაწილიც გულუბრყვილოთ ეგება ყოველგვარ ჭორების ანკესზე. შეძლებული გლეხკაცობა და ქრისტეს ვითომდა მოციქულები ხელს უმართავენ ხალხის მტრებს და ისედაც უცნაურ რამეებს ახალ ახალ ჭორებს უმატებენ. ასეთი უსაქმო მოხეტიალეები დღეს ჩვენ სოფლებში მრავლათ არიან. მათ წინაალმდეგ საჭიროა ბრძოლა მთელი სისასტიკით. დეე, იცოდნენ ქართველი ერის გამცემლებმა, რომ კომუნისტურ პარტიას შეუძლია როგორც ხალხის სამსახურისათვის დაჯილდოვება ისე მისი მტრების აღმოფხვრა. ჩვენდა საუბედუროთ, დღეს კომუნისტურ პარტიას უხდება მრავალ შინაურ თუ გარეულ მტერთან ბრძოლა, ბუნების სტიქიური მოვლენის დაძლევა და ასეთ კრიტიკულ მომენტის დროს დახმარების ნაცვლათ ისინი ხელს უშლიან მას. ალბათ ამ უკნურებმა არ იციან, რომ კომპარტიის სახით ისინი ებრძვიან ხალხს. მათი მუშაობის ტემპი დღეს უფრო გამაღლებულია, მიზეზი საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენელთა მიწვევაა კაპიტალისტთა რაინდების მიერ, როგორც დაუძლეველი მოწინაალმდეგის, ეს გულს და სულს უღრნის ჩვენ მენშევიკებს, ხედავენ, რომ ბატონობას ვეღარ დაიბრუნებენ და შემოდგომის ბუზივით მწარეთ და შხამიანათ უნდათ კბენა. ყოველი პატიოსანი ადამიანი, რომელსაც ცოტათ თუ ბევრათ აინტერესებს მშრომელი მასის ბედ-იღბალი, ვალდებულია ებრძოლოს პროვოკატორებს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ იმ პარტიას, რომლის წინაში ქედი მოიხარა ევროპის ბურჟუაზიამ, შეუძლია ერთხელ კიდევ დაანახვოს საქართველოს მშრომელ ხალხს, თუ ვინ არიან მისი მტრები და როგორ უსინდისოთ და უნამუსოთ ვაჭრობენ მისი ინტერესებით ოღონდ დაუბრუნდენ დაკარგულ „აღმოსავლეთის ედემს“. პროვოკატორებს კი ახსოვდეთ, რომ თავს ტყვილა იწუხებენ: მათ და მათ მბრძანებელთა შორის, დიდი შავი ზღვაა, სადაც საბჭოთა საქართველოს ყოველი მტერი საუკუნოთ დაწყნარებას პოვებს.

ახალგაზრდა უპარტიო.

ბინის საკითხი

ს. ქ. პ. ს. გაფართოებულ სხდომაზე

(დასასრული. იხ. „კომ.“ № 71).

მოხსენებას კომისიის სახელით აკეთებს ამხ ელბაქიანი.

იგი აღნიშნავს, რომ საბინაო კანონი არის—კანონი სოციალური, რომელიც ეხება მოსახლეობათა ფართო წრეების ინტერესებს, და ამისთვის კანონმდებლობამ უნდა გაარჩიოს ქირის გადახდის შესაძლებლობის მიხედვით მოქალაქე მდიდარი ღარიბი, დამქირავებელი და ვაჭრები ისეთ პირთაგან რომლებიც ცხოვრობენ თავიანთი სამუშაო ძალის გაყიდვით ე. ი. მუშა და მოსამსახურეთაგან.

დაცულია თუ არა ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის მიერ ეს კანონიერი მოთხოვნილება? კომისიის აზრით დაცულია, მაგრამ არა სავსებით.

ჩვენ გვეუბნებიან, რომ მუშა-მოსამსახურეთა ინტერესები შეიძლება დაცულ იქნეს კოლექტიური ხელშეკრულებებით, შემდეგ მიუთითებენ სასამართლოზე, რომელიც დაიცავს სიმართლეს და არ დაუშვებს მშრომელთა გადასახლებას. კომისიის აზრით საკითხის ამ გვარად გადაწყვეტა არ არის სამართლიანი. ყველა პირები დაქირავებული შრომით არიან პროფესიონალურ კავშირების წევრები—მიუხედავათ იმისა მსახურობენ ისინი სახელმწიფოებრივ, კოოპერატიულ თუ კერძო დაწესებულებებში. კანონმა ყველა ისინი უნდა აიყვანოს თავის მფარველობის ქვეშ, ვინაიდან ვერავითარ იმედს ვერ დავამყარებთ სამართალსა და სახლის მეპატრონეთა გულკეთილობაზე. ესევე უნდა მოვიქცეთ უმუშევართ, რომელთაც უფლება აქვთ მიიღონ დახმარება სოციალური დაზღვევის კასიდან და იმ პირთა მიმართაც, რომელთაც დაკარგეს შრომის უნარი შრომის ფრონტზე. ამიტომ კომისიამ დაადგინა ქალაქის მთელი მცხოვრებლები გაყოს სამ კატეგორიათ: 1 კატეგორიას შეადგენენ მუშა-მოსამსახურენი სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა და წარმოებათა, უმუშევარნი, შრომის ინვალიდები და წითელ არმიელები. მეორე კატეგორიას—მუშა მოსამსახურენი საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებათა და წარმოებისა და მესამე კატეგორიას—ყველა დანარჩენი მოქალაქენი.

საბინაო ქირის საკითხის შესახებ კომისია ფიქრობს, რომ ქირა, კერძო წარმოებათა მუშა-მოსამსახურეთათვის არ უნდა აღემატებოდეს 3,000 მან. თვიურ კვადრ. არშინზე.

მეორე კატეგორიისათვის ბინის ფასში განსხვავების დაწესება კომისიას შესაძლებლად მიაჩნია იმ მიზეზით, რომ კერძო წარმოებათა მუშა მოსამსახურენი ღებულობენ ბევრად მეტს, ვინემ სახელმწიფოებრივ წარმოებათა მუშა მოსამსახურენი და აგრეთვე იმ მიზეზითაც, რომ პროფესიონალური კავშირები, კოლექტიური ხელშეკრულობის დროს ამ განსხვავებას მიაწერენ თვით მწარმოებელთ.

შეკითხვები და პასუხი.

მომხსენებელ ამხ. წივწივაძეს აძლევენ მთელ რიგ შეკითხვებს, რომელზედაც იგი იძლევა სავსებით დამაკმაყოფილებელ პასუხს; შეკითხვების უმრავლესობის მიზანს შეადგენდა სავალდებულო დადგენილებათა ზოგიერთი პუნქტების გამორკვევა. სტუდენტთა, სავალდებულო დადგენილებაში გამოტოვების შესახებ, ამხ. წივწივაძე უპასუხებს, რომ ისინი შემთხვევით არიან გამოტოვებულნი და უნდა გათანასწორებულ იქნენ სოციალურ უზრუნველყოფის კატეგორიის პირებთან.

საქართველოს პროფესიონალური კავშირების საბჭოს პრეზიდიუმის კომისიის შესწორებათა შესახებ ამხ. წივწივაძე აცხადებს, რომ სავალდებულო დადგენილება დადასტურებულ უნდა იქნეს უმაღლესი ხელისუფლებისაგან და გაგზავნილი სახალხო კომისართა საბჭოში ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში, რის გამოც მომხსენებელი ფიქრობს, რომ შესწორებები იქნებიან მიღებულნი.

კამათი.

ამხ. წივწივაძის მოხსენებამ გამოიწვია გაცხოველებული კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს—კუშნირმა, ბახუტოვმა, მანევიჩმა, აბროსიმოვმა, ნ. ცერცვაძემ, ალაძემ, ელბაქიანმა, იზრაილმა, ჭელიძემ და იტრიევმა.

ამხ. ბახუტოვი წინააღმდეგია მუშა-მოსამსახურეთა რაღაც კატეგორიებათ დაყოფვისა, რომლისაც მათ ერთ ნაწილს ეძლევა ლგოტები, ხოლო დანარჩენთ კი არა. პროფესიონალურ კავშირის ყველა წევრები უნდა სარგებლობდენ თანასწორი უფლებებით. ამხ. მანევიჩი მოითხოვს, რომ პროფესიონალურ კავშირის ყველა წევრები მოხვედრილ იქნენ 1 კატეგორიაში.

ამხ. ცერცვაძეც იმ აზრისაა, რომ არავითარ კატეგორიებათ მუშათა შორის დაყოფვას ადგილი არ უნდა ქონდეს.

ამხ. ალაძე მშენებელთა პროფესიონალურ კავშირის სახელით წინადადებას იძლევა შეტანილ იქნეს თვითეული, მუშა, საერთო მუშათა რიცხვში.

რეზოლიუცია.

ამხ. წივწივაძე თავის უკანასკნელ სიტყვაში ამბობს, რომ აღმასრულებელ კომიტეტს არაფერი არა აქვს აქ შემოტანილ შესწორებათა საწინააღმდეგო; ამის შემდეგ ხმის უმრავლესობით (10 12 თავი შეიკავა) მიღებულ იქნა ამხ. ბახუტოვის მიერ შემოტანილი რეზოლიუცია: გამოვდივართ რა მუშათა ინტერესების თანაბრად დაცვის აუცილებლობიდან გაფართოვებულ პლენუმს პროფესიონალურ კავშირებისა ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტთან შეერთებით, შეუძლებლად მიაჩნია ბინის უპირატესობათა საკითხში, დაყოფილ იქნეს კატეგორიებათ პროფესიონალურ კავშირის წევრები. სახელმწიფო კოოპერატიულ და კერძო წარმოებათა, დაწესებულებათა და ქარხანათა მუშა-მოსამსახურენი უნდა სარგებლობდენ ერთდაიმავე უპირატესობებით. ამასთან ერთად პლენუმს აუცილებლად მიაჩნია, რომ ეს უპირატესობანი გავრცელებულ იქნეს უმუშევარ-მუშებზე, რომელნიც ანგარიშზე არიან აყვანილი და უფლება აქვთ სოციალური დაზღვევისა, აგრეთვე სამუშაო ფრონტზე შრომის უნარ დაკარგულებზე და მოწაფეებზეც.

ს. პ. კ. საბჭოს პლენუმში

საფასური კომუნალური სამსახურისთვის

საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს, თფილისის ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის წევრთა, საქარხნო კომიტეტებისა და ადგილობრივი კომიტეტების გაფართოვებულ პლენუმზე მოსმენილ იქნა ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის კომუნალური მეურნეობის გამგის ამხ. წივწივაძის მოხსენება კომუნალურის სამსახურისათვის ფასის დაწესების შესახებ.

თავის მოხსენებაში ამხ. წივწივაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის ყველა მნიშვნელოვანი წარმოებანი გასაოცარ მდგომარეობაში იმყოფებიან. ტრამვაი, ელექტრონის სადგურები და აბანოები ჩვენ ხელში გადმოსვლის დროს გაპარტახებულ მდგომარეობაში იყვნენ. წყალსადენის საგასავლო ხარჯთ-აღრიცხვა უდრის 135 მილიარდს მანეთს. ასეთი დიდი ხარჯთ-აღრიცხვა გამოწვეულია იმის გამო, რომ წყალსადენის ძველ მაშინებზე იხარჯება ჩვეულებრივზე 3 4 ჯერ მეტი სათბობი მასალა, ე ი. დღიურათ 750 ფუთით მეტი, რაიც ყოველ დღიურად ჯდება 70 80 მილიონი მანეთი. ყოველდღიურად წყალსადენი იძლევა 1,200 ათას ვედრო წყალს, მაგრამ წყლის საზომი გაფუჭებულია და წყლის დიდი ნაწილი იხარჯება ქუჩებისა და მოედნების მოსარეცხად, ცეცხლისათვის და ქალაქის სხვა საჭიროებათათვის და ამიტომ წყლის საანგარიშო რიცხვი უდრის მხოლოდ 72000 ვედროს, მაგრამ ამ რიცხვიდანაც ქალაქი ღებულობს ფასს მხოლოდ 220000 ვედროსას, რის გამოც დაწესებულია ასეთი დიდი გადასახადი წყალზე. ამისათვის ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი იძულებული შეიქნა დაესვა საკითხი ყველა 720000 ვედრა წყლის საფასურის შესახებ.

ამასთან ერთად წამოიჭრა საკითხი მუშა-მოსამსახურეთა ინტერესების დაცვისა. ჩვენ მოვითხოვთ კომუნალური სამსახურისათვის ფასი გადახდეს ყველა წარმოებათა და დაწესებულებათ; სახალხო კომისართა საბჭომ და უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაადგინეს, რომ მუშები და მოსამსახურენი, აგრეთვე ყველა დაწესებულებანი, იხდიდენ გადასახადს კომუნალური სამსახურისათვის.

ამხ. ოდილავაძე აცხადებს, რომ ეს საკითხი დასმულ იყო საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმში და მას არ გამოუწვევია არავითარი უთანხმოება. მხოლოდ, ერთმა საკითხმა დაბადა აზრთა სხვა და სხვაობა, რის გამოც პრეზიდიუმმა იგი დასვა ამ კრებაზე გადასაწყვეტათ. ამ საკითხის შესახებ არსებობს სამი შეხედულება: პირველი გადამხდელთა გაყოფა ოჯახურსა და უცოლშვილოებზე; მაგალითად თუ უცოლშვილო იხდის 10 მანეთს, ოჯახიანმა, როგორც მეტი წყლის დამხარჯველმა უნდა გადიხადოს 20 მან. მეორე—ერთი ტარიფის დაწესება ყველასათვის და მესამე—ამხ. ბახუტოვისა-ტარიფიკაციის შესახებ—კომუნალური სამსახურისათვის დაწესდეს მუშა მოსამსახურეთათვის პროპორციონალური მომატება მათი ჯამაგირის მიხედვით წინაალმდეგ პროპორციაში.

კამათის შემდეგ ხმის უმეტესობით მიღებულ იქნა ამხ. ნ. კიკნაძის მიერ შემოტანილი რეზოლიუცია. მოისმინეთ რა ამხ. წივწივაძის მოხსენება კომუნალური სამსახურისათვის საფასურის დაწესების შესახებ, გაფართოვებული პლენუმი პროფ კავშირებისა, ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის, საფაბრიკო საქარხნო კომიტეტებისა და ადგილობრივი კომიტეტების წარმომადგენელებთან ერთად, იწონებს ხსენებულ მოხსენებას და ავალებს საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმს მუშა-მოსამსახურეთათვის კომუნალური სამსახურის საფასურის დაწესების დროს შეიმუშავოს ერთი ტარიფი ყველა კატეგორიებისათვის.

მუშა-მოსამსახურენი გაყოს მხოლოდ ორ ჯგუფად: უცოლშვილონი და ოჯახის მქონებელნი.

შრომის დაცვა

შრომის დაცვის სახელმწიფოებრივი ფუნქციების შრომის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში გადაცემის შესახებ

სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირების საბჭოს ამიერ კავკასიის ბიურომ დაუგზავნა ცირკულიარი ყველა პროფესიონალურ კავშირებს, რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასკომის განყოფილებათ და ამიერ-კავკასიის რკინის გზელთა პროფესიონალურ კავშირს, რომელშიც მიუთითებს, რომ პროფესიონალურ კავშირების ახალი ამოცანებისა და მათი როგორც კერძო, ისე სახელმწიფოებრივ დაწესებულებებთან თავისუფალ შეთანხმებაზე გადასვლის მიხედვით, აუცილებელია ჩამოვაშოროთ პროფესიონალურ კავშირებს სახელმწიფოებრივი ფუნქციები და გადავცეთ ასეთები ხელისუფლების ორგანოებს. რესპუბლიკის პროფესიონალურ კავშირების და მათ საკავშირო ორგანოებს უნდა ჩამოერთვას და გადაეცეს შრომის სახალხო კომისარიატისა და მისი ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში, შრომის დაცვის სახელმწიფოებრივი ფუნქციები, როგორც მაგალითად: შრომის ინსპექცია, ჰიგიენის საკითხების მეცნიერული დამუშავება და სხვა.

ამასთან ერთად შრომის სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ ორგანოებს უნდა გადაეცეს სათანადო ინვენტარი და პირადი შემადგენლობა ისე, რომ შრომის დაცვის მუშაკთა უზრუნველსაყოფად საჭიროა უფუფეს საერთო რიცხვიდან, რომელიც რესპუბლიკის პროფესიონალურ კავშირებთ აქვს დათმობილი, გადაეცეს შრომის სახალხო კომისარიატს სათანადო რიცხვი. ამ გადაცემის მუშაობის შესასრულებლად, წინადადება გეძლევათ დააარსოთ სრულ-უფლებიანი კომისია სამი პირისაგან, რომლის შემადგენლობაში შევლენ თითო წარმომადგენელნი პროფესიონალურ კავშირიდან, შრომის სახალხო კომისარიატიდან და ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტიდან, ამ უკანასკნელის თავმჯდომარეობით. საბოლოოდ გადაცემა დადასტურებულ უნდა იქნეს თვითეულ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით.

პარტიული ცხოვრება

მეოთხე რაიკომის პარტიის წევრთა 4 აპრილის საერთო კრების რეზოლიუცია ამხ. ს. ქავთარაძის მოხსენების გამო კომინტერნის ახალ ტაქტიკის შესახებ.

„ვღებულობთ რა მხედველობაში რევოლიუციონურ განწყობილების ზრდას ყველა ქვეყნების მშრომელ მასაში, მათ შეუჩერებელ მისწრაფებას პროლეტარულ რევოლიუციონურ ძალების გაერთიანებისაკენ საერთაშორისო კაპიტალის მუხანათურ თავდასხმის და იმპერიალისტურ ავანტიურების მუქარის საწინააღმდეგოდ. საერთო კრება იწონებს კომინტერნის ახალ ტაქტიკას მთლიან პროლეტარული ფრონტის შექმნით. კომუნისტური ინტერნაციონალი შესძლებს პროლეტარულ სამყაროს წინაშე ერთხელ კიდევ ფარდა ახადოს მეორე ინტერნაციონალის გამყიდველ ტაქტიკას და ხელი შეუწყოს კლასობრივ გათვითცნობიერების პროცესს მშრომელთა ფართო წრეებში.

გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ პროლეტარიატს.

გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს.

პროვინციაში

სამტრედიის ავ-კარგი

შარშანდელი წელი წყვილა-კრულვით მოსაგონარია სამტრედიის რაიონისთვის; ეხლა დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ რამოდენიმე სოფელი სიმშილობს. სამტრედიის რაიონი ძალიან განთქმულია სიმინდის მოსავლით, რადგან საყანე მიწები კარგი თვისებისაა, მხოლოდ ესაჭიროებათ კარგი დამუშავება და ზოგან არხების გაყვანა; წრეულს ზამთარი სულ წვიმიანი იყო, თოვლი და ყინვები თითქმის სულ არ ყოფილა, რამაც მიწის ნიადაგს ბევრი დააკლო; შეშინებული ხალხი ეხლავე შეუდგნენ ყანებს, ვისაც ხარი ყავს და სათესლე სიმინდი აქვთ. ჩვენში ყანების თესვას 15 აპრილიდან შეუდგებიან (ძველი სტილით) საჭიროა, რამოდენიმე სოფლების თესლით დახმარება.

— მთელი ზამთრის განმავლობაში სამტრედიის რაიონში ძალიან მოდებული იყო გადამდები სენი პარტახტიანი ტიფი, რამაც ბევრი ადამიანი იმსხვერპლა

— ზაფხულის მოლოდინში ვართ და სამტრედია საჭიროებს ძლიერ განტვირთვას უსუფთაობიდან, საჭიროა ამას დროზე მიექცეს ყურადღება.

— სამტრედიის მილიციის უფროსის სევერიანე შინგელიას მაგიერ, დაინიშნა ამხ. ცირეკიძე, რომელიც 1 თვეზე მეტია შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას.

— პარასკევს 24 მარტს ვიღაც გომელ გლეხს გაეყიდა სამტრედიაში ხარი, როდესაც სახლში ბრუნდებოდა ფულით რიონ გაღმა, რამოდენიმე მანძილის სიშორეზე მას დახვდნენ ორი ბოროტ-გამზრახველნი, და წაართვეს 6,000,000 მეტი, სამტრედიის მილიციის უფროსის ენერგიული მოქმედებით ორივე შეიპყრეს, ისინი გამოტყდნენ.

— სანოვაგის ფასები ბაზარზე შემდეგი იყო 27 მარტს: სიმინდი ფუთი 240,000 მანეთი სიმინდის ფქვილი. 250 დან 260,000 მანეთამდის. ყველი გირვანქა 30,000 მან. კვერცხი 3000 მ. ქათამი საშუალო 70,000 მანეთი.

ხან-კანი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ფინანსთა კომისარიატის პირდაპირ გადასახადთა განყოფილებიდან.

ფინანსთა კომისარიატის პირდაპირ გადასახადთა განყოფილება ამით აცხადებს ყველა ანგარიშ ვალდებულ საწარმოოთა საყურადღებოდ (მათ შორის კოოპერატივებსაც, რომლების გამგეობანიც იმყოფებიან ს. ს. ს. რესპუბლიკის ფარგლებში, რომ თანახმად № 82 დეკრეტისა, გადასახადთა სამართველოს ფუნქციები საწარმოოთა ანგარიშებას განხილვისა სარეწავი გადასახადის გამოანგარიშებისათვის გადაცემული აქვთ რაიონის საგადასახადო განყოფილებათა საკრებულოებს საწარმოოთა გამგეობის ადგილ მდებარეობის მიხედვით. თანახმად ფინანსთა სახალხო კომისარის ცირკულიარისა მიმდინარე წლის 31 მარტიდგან თარიღით 3040 | 5198 ანგარიშ ვალდებულნი საწარმოონი დაიბეგრებიან სარეწავი გადასახადით 1922 წელში ორჯერ: 1921 და 1922 საგადასახადო წლებისათვის 1921 წლის ანგარიშების მიხედვით, ის ანგარიშ ვალდებულნი საწარმოონი, რომლებიც არ დაამტკიცებენ თავიანთ ანგარიშებს 1921 წლისას მიმდინარე წლის 1 ივლისამდე, დაიბეგრებიან, როგორც არა ანგარიშ ვალდებულნი საწარმოონი.

ზემოაღნიშნულისა გამო, ანგარიშ ვალდებულ საწარმოოთა პასუხისმგებელნი ხელმძღვანელნი ვალდებულნი არიან წარადგინონ რაიონის საგადასახადო განყოფილებაში (საწარმოოს გამგეობის ადგილ მდებარეობის მიხედვით) უკანასკნელი წლიური ანგარიშები ყოველივე დამატებითურთ.

ფინანსთა კომისარიატის პირდაპირ გადასახადთა განყოფილების გამგე **ბეზირგანიშვილი.**

ფინანსთა სახალხო კომისარიატის პირდაპირ გადასახადთა განყოფილებიდან.

ფინანსთა კომისარიატის პირდაპირ გადასახადთა განყოფილება აცხადებს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის გადამხდელთა საყურადღებოთ, რომ თანახმათ ფინანსთა სახალხო კომისრის მიმდინარე წლის 20 თებერვლის განკარგულებისა დადებულ 1921 წლის გადასახადზე გასაჩივრების შეტანის ვადა რაიონის საგადასახადო განყოფილებებში გაგრძელებულია ამა წლის 15 აპრილამდე. ის გადამხდელები, რომელნიც გარეშე საგადასახადო განყოფილების მიზეზისა არ მიიღებენ გადასახადთა ფურცლებს თავის დროზე, ვალდებულნი არიან გამოცხადდენ საგადასახადო განყოფილებებში ცნობების მისაღებათ მათზე შეწერილი გადასახადის რაოდენობის გამოსარკვევათ თანახმათ მისივე ფინანსთა სახალხო კომისარის განკარგულებისა გადამხდელები მოვალენი არიან შეიტანონ ხაზინაში ხვედრი გადასახადი არა უგვიანეს ამა წლის 1 მაისის, ვადის გასვლის შემდეგ აღნიშნულ გადასახადის ნარჩენები (ნედოიმკები) გადახდებათ მილიციის აგენტების საშუალებით იძულებითი წესით საურავის (პენიის) მიმატებით 15 პროც. რაოდენობით თვეში.

ფინანსთა სახალხო კომისარიატის პირდაპირ გადასახადთა განყოფილების გამგე **ბეზირგანიშვილი.**

ტფილისის ტეხნიკუმების გამგეებს.

თანახმად საქართველოს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ამა აპრილის 6 ს № 6 დადგენილებისა, ამავე აპრილის 13, 14 და 15 თბილისის სადგურიდან ბათომის მიმართულებით მასწავლებელ მოწაფე ყოველ დღე დაეთმობა 40 ადგილ უფასოდ [illegible] და იქით მიემგზავრებიან.

თბილისიდან თელავის მიმართ ლებით მხოლოდ ერთ დღეს ამა ა რილის 19 დაეთმობა 40 ადგილ უფასოდ მგზავრობისათვის მასწავლ ბელ-მოწაფეეთ, ხოლო უკან დაბრუნ ბისთვის, როგორც ბათომის აგრეთ თელავის მიმართულებიდან ამავე წ სით დაეთმობათ ამავე აპრილის 23 24 ს 25-ს, 26-ს და 27-ს ყოველდ დღეში ორმოცი ადგილი.

გაუწყებთ რა ამას, სახალხო გან თლების კომისარიატი წინადადებ გაძლევთ მისცეთ ყოველ ტფილის დან წამსვლელ მასწავლებელ მოწ ფეთ აღნიშნულ დღეების განმავლ ბაში, როგორც ერთის აგრეთვე მე რე მიმართულებით ორ-ორი მოწმ ბა თვითეულს, ერთი აქედან წასას ლელათ ხოლო მეორე იქიდან დას ბრუნებლად, დაახლოვებით შემდე შინაარსისა: ეძლევა ესე (სახელ გვარი, სასწავლებლის სახელწოდებ მასში, რომ მას თანახმად საქართვე ლოს რესპუბლიკის სახალხო კომ სართა საბჭოს ამა 6 აპრილის № დადგენილებისა, უფლება აქვს ი გზავროს უფასოდ ტფილისიდან ა და ამ სადგურამდე“ ამისთანავე შ ნაარსის მოწმობა მიეცემა ყოვე თვითეულ მგზავრს იქიდან დაბრუნ ბისათვის. პროფესიონალურ განა ლების მთავარ მმართველობის გამ პ. ქარუმიძე. საქმეთა მმართველ ალ. მიქელაძე.

სარედაქციო კოლეგია.

პარასკევს, მარტის 14-ს, საღამოს 5 საათზე სახელმწიფო ოპერის შენობაშ

შესდგება

საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პლე ნუმის, ტფილისის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტა ტების აღმასრულებელ კომიტეტის პლენუმის, საქართველო პროფესიონალურ კავშირის პლენუმის, საქარხნო კომიტეტე ბის და ტფილისის გარნიზონის წარმომადგენლების

შეერთებული საზეიმო სხდომა

დღის წეს რიგი: მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის
მდივანი **თ. კალანდაძე.**
(3—2)

განცხადება

ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტისა

ამით აცხადებს ყველა დაწესებულებათა ცნობად, რომ მათ უსათუო უნდა გაასწორონ ამ მიმდინარე წლის პირველ იანვრიდან ანგარიშები აღნიშნულ კომიტეტის კომუნალურ სამსახურისა წყალზე და ელექტრონზე. ყველა ის დაწესებულებები, რომლებიც ათი დღის განმავლობაში, დღიდან ამი გამოცხადებისა, არ მიიღებენ შესაფერ ზომებს აღნიშნულ ანგარიშის გა წორებისთვის წყლის და ელექტრონის მიწოდება მათთვის უსათუოდ შე ყვეტილ იქმნება.

ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
წივწივაძე.
(3—3)

ხელის მომწერთა საყურადღებოდ

სახელმწიფო გამომცემლობა აცხადებს გაზეთ „პრავდა გრუზიის“, „კო მუნისტის“, „კარმირ ასტღ“-ის და „ახალი აზრის“ ხელის მომწერთა (სა ხელმწიფო დაწესებულების, პარტიული და მუშათა ორგანიზაციების დ კერძო პირთა) საყურადღებოდ, რომ შემდეგში გაზეთებს მიიღებენ ისინ მხოლოდ ხელის მოწერის ფასის გადახდის შემდეგ. იმ დაწესებულებებს დ პირთ, რომელთაც გასული თვეებისთვის გადასახადი არ შემოუტანიათ

გაზეთების მიწოდება უსათუოდ შეუწყდებათ.

ხელის მოწერა და ფულის მიღება გასული თვეებისთვის სწარმოებ წინასწარ სახელმწიფო გამომცემლობაში (ლორის მელიქოვის ქ. № 5).

სახელმწიფო გამომცემლობისაგან

განცხადება

ცხადდება ყველა პარტიულ გაზეთების „კომუნისტის“, „პრავდა გრუზიის“ და „კარმირ ასტღ“-ის ხელის მომწერთა საყურადღებოდ, რომ პირველ აპრილიდან ხელის მოწერა მიიღება ახალი ფასით.

პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის ხელის მოწერ ადგილზე ქალაქში სახლში მიუტანელად თვეში ეღირება 120.000 მან. შინ მიტანით 140.000 მ. პროვინციაში 150.000 მან.

ყველა სხვა დაწესებულებისა და კერძო პირთათვის ხელის მოწერ ადგილზე შინ მიუტანელად ქალაქში ეღირება თვიურად 180,000 მან. შინ მიტანით 200,000 მ., პროვინციაში 240.000 მან.

ცალკე ნომერი ქალაქში ეღირება 10,000 მ. პროვინციაში კი 12,000 მ

ხელის მოწერა დროებით მიიღება სახელმწიფო გამომცემლობაში ლორის-მელიქოვის ქ. № 5 ამხ. ზუმბაძესთან.

განცხადება

ქ. თბილისის მე-6 უბნის სახალხო მოსამართლე

იწვევს თავის კამერაში (სურპ-კარაპეტის ხევი № 3) მემკვიდრეებს გარდა ცვალებულ ანდრია ივანეს ძე მაკაროვის დანაშთ ქონებაზე. დღიდან გა მოცხადებისა ორი თვის ვადაში.

სახალხო მოსამართლე (ხელს აწერს).
(1—1)

განცხადება

ქ. ტფილისის კომუნალური მეურნეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ყველა ქალაქის მიწები, რომელიც მო ნული და დათესილია ქალაქის ნება დაურთველად მოქალაქეების მიერ, ვალდებული არიან ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამის გამოცხადების აიღონ ნებართვა საადგილ-მამულო განყოფილებაში (თავისუფლების მოე დანი ყოფილი ქალ. თვითმ. რთველობის შენობა ოთახი № 52) წინააღმდე შემთხვევაში ის მიწები ჩამორთმეული იქნება უსასყიდლოდ ქალაქის სასარ გებლოდ.

კომუნალური მეურნეობა.